




ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

2018 წელი



unag
UN Association of Georgia



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



ctc
Empowering
People for
Change

ანგარიში მომზადდა კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) მიერ, „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (PITA) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

ავტორები: ქეთი ხარატიანი
ხათუნა ნაჭყებია



სარჩევი

შესავალი	1
თავი 1. კვლევის მეთოდოლოგია	1
თავი 2. შედეგების მოკლე მიმოხილვა.....	3
თავი 3. ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის შემუშავებული საშეღავათო პოლიტიკის მიმოხილვა საქართველოში	6
თავი 4. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი და სხვა დაინტერესებული მხარეები	9
4.1 პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულებები	9
4.2 პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული მხარეები.....	13
თავი 5. ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის და ინტეგრაციის პოლიტიკის შეფასება	16
თავი 6. სტუდენტების ანკეტირებისა და ფოკუს ჯგუფების შედეგები	19
თავი 7. რეკომენდაციები საშეღავათო პოლიტიკის გაგრძელებასთან დაკავშირებით.....	28
დანართი 1. ფოკუს ჯგუფის სასაუბრო.....	30
დანართი 2. კითხვარი	31
დანართი 3. რესპონდენტები.....	37
ბიბლიოგრაფია	37



შესავალი

წინამდებარე კვლევის მიზანი გახლდათ 2009 წელს ინიცირებული და შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და 2009-2014 წწ. სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული განათლების საშეღავათო პოლიტიკის განხორციელების შეფასება.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უმაღლესი განათლებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2009 წელს უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე ამოქმედდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. ამ პროგრამის მიზანი გახლდათ ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანული, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქის მიერ ქართული ენის შესწავლა იმ დონეზე, რაც აუცილებელია ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ ვეტერინარის ან დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად.

მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტების ჩარიცხვის წესი განისაზღვრა, როგორც დროებითი ღონისძიება, რომლის მოქმედების ვადა სრულდება 2018–2019 სასწავლო წლის ბოლოს.

მიმდინარე წელს საქართველოს მთავრობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება გააგრძელებს თუ არა პროგრამას და რა სახის ცვლილებებს შეიტანს პროგრამაში. აქედან გამომდინარე აქტუალურია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების შეფასება, საშეღავათო პოლიტიკის განხორციელებაში ჩართული მხარეების მოსაზრებების და რეკომენდაციების შეჯამება და მათი საჯარო განხილვაზე გამოტანა.

ამისთვის კვლევის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: ინტერვიუები სამი სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ხელმძღვანელებსა და ლექტორებთან, ექსპერტებსა და სხვა დაკავშირებული მხარეების წარმომადგენლებთან, ფოკუს ჯგუფები და ანკეტირებული გამოკითხვა პროგრამის სამიზნე ჯგუფების მონაწილეობით, „განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის“ და „ეროვნული გამოცდებისა და შეფასების ცენტრის“ მიერ მოწოდებული ოფიციალური სტატისტიკის გაანალიზება, ადრე ჩატარებული კვლევების გაცნობა. მეთოდოლოგიის დეტალური აღწერა მოცემულია ანგარიშის ძირითად ნაწილში.

თავი 1. კვლევის მეთოდოლოგია

ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, განათლების საშეღავათო პოლიტიკის განხორციელების შეფასების მიზნით ჩატარებული კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სამაგიდო კვლევა და კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები.

სამაგიდო კვლევა

კვლევის დაგეგმვის და ანგარიშის მომზადების პროცესში გამო-

ყენებულ იქნა ადრე ჩატარებული კვლევის ანგარიშები (იხ. ბიბლიოგრაფია), გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრისა და განათლების ხარისხის განვითარების ცენტრისგან მოწოდებული ოფიციალური სტატისტიკა. ასევე შესწავლილი იქნა სხვა ღია წყაროები (სახელმწიფო დაწესებულებების ვებ გვერდები, სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია).

თვისებრივი კვლევა

თვისებრივი კვლევა ჩატარდა ქართულ ენაში მოსამზადებელი

პროგრამის მოსამზადებელ ჯგუფსა და ბაკალავრიატის პირველი კურსის სტუდენტებთან.

თვისებრივი კვლევის მეთოდად გამოყენებულ იქნა ფოკუს-ჯგუფის დისკუსია. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა სასაუბრო, რომელიც შედგებოდა სამი ძირითადი საკითხისა და 12 ქვესაკითხისგან. (იხ. დანართი 1)

ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა, როგორც თბილისში, ასევე რეგიონულ უნივერსიტეტში, ცხრილში წარმოდგენილია ფოკუს-ჯგუფების რაოდენობა და თითოეულ ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა.

ფოკუს-ჯგუფებში დისკუსია მიმდინარეობდა მონაწილეთა მაქსიმალური ჩართულობით. მონაწილეები გამოირჩეოდნენ გახსნილობით. ენობრივ ბარიერს არ შეუშლია ხელი დისკუსიის ხარისხისთვის. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე კითხვა გაუგებარი იყო ერთეული მონაწილისთვის, ხდებოდა უფრო გასაგები ენით ახსნა, ან მონაწილეთა ის ნაწილი, რომელმაც უკვე იცოდა სახელმწიფო ენა, უთარგმნიდა მონაწილეს მშობლიურ ენაზე. საერთო ჯამში, თითოეული ფოკუს-ჯგუფი მიმდინარეობდა 1:30 წუთიდან 2 საათამდე. ინტერვიუები ინტერვიუები ჩატარდა სამი უნივერსიტეტის (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის) ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ხელმძღვანელებთან, ლექტორებთან, განათლების და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებსა და სფეროს ექსპერტებთან.

რაოდენობრივი კვლევა

ქართული ენაში მოსამზადებელი პროგრამის მოსამზადებელი ჯგუფისა და ბაკალავრიატის პირველი კურსის სტუდენტებთან ჩატარდა გამოკითხვა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით.

რაოდენობრივი კვლევის შერჩევის მეთოდად გამოყენებულ იქნა კვოტური შერჩევა უმაღლესი დანესებულებების მიხედვით.

შერჩევის მოცულობა

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელობის უნივერსიტეტის 75-მა სტუდენტმა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 102-მა სტუდენტმა.

კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა სტრუქტურირებული კითხვარი ღია და დახურული კითხვებით. კითხვარი შედგებოდა სამი ბლოკისგან: I - ინფორმირებულობა; II - პროფ-ორიენტაცია; III - პროგრამის ეფექტურობის შეფასება; IV - დემოგრაფიული მონაცემები. (იხ. დანართი 2)

რაოდენობრივი მონაცემები დათვლილი იქნა სტატისტიკურ პროგრამაში SPSS 22.

სტუდენტების მონაწილეობით ჩატარებული ფოკუს ჯგუფებისა და სტუდენტების ანკეტირების შედეგები ანგარიშში მოცემულია გაერთიანებული სახით.

ცხრილი 1. ფოკუს-ჯგუფების გეოგრაფია, რაოდენობა და შემადგენლობა

უნივერსიტეტი	ფოკუს-ჯგუფის რაოდენობა	ფოკუს-ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა სულ	ეთნიკური შემადგენლობა
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	2	19	მულტიეთნიკური
ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2	23	მულტიეთნიკური
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2	18	მულტიეთნიკური

თავი 2. შედეგების მოკლე მიმოხილვა

ეთნიკური უმცირესობების უმაღლეს განათლებისადმი ხელმისაწვდომობის ზრდა

2009 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, შეიქმნა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამის მიზანი იყო საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების უმაღლესი განათლებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა.

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებმა შესაძლებლობა მისცა აბიტურიენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგად უნარებში სომხურენოვანი, აზერბაიჯანულ ენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების საფუძველზე ჩაებარებიანათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ერთი წლის განმავლობაში შეესწავლათ ქართული ენა იმ დონეზე, რაც აუცილებელია ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის / სტომატოლოგის/ვეტერინარის ან დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად.

ქართულ ენაში მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამის (ე.წ. 1+4 პროგრამა) დანერგვამ მნიშვნელოვნად გაზარდა იმ აბიტურიენტთა რიცხვი, რომლებმაც გადაწყვიტეს ესარგებლათ ამ შესაძლებლობით. 2010 წლიდან 2017 წლამდე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა რაოდენობა წლიდან წლამდე მატულობს. 2010 წელს 588 აბიტურიენტმა გაიარა რეგისტრაცია, 2017 წელს კი ამ პროგრამაზე სწავლის მსურველთა რაოდენობა დაახლოებით ოთხჯერ მეტი იყო (2461 აბიტურიენტი) (დიაგრამა 1).

წლიდან წლამდე ასევე მატულობს სტუდენტების რაოდენობა, რომელთაც გადალახეს ზოგადი უნარების ტესტის მინიმალური ზღვარი და ჩაირიცხნენ ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე. თუ 2010-2011 სასწავლო წელს პროგრამით ისარგებლა 331-მა სტუდენტმა, 2017-2018 სასწავლო წელს ქართული ენაში მომზადების პროგრამით სარგებლობს 792 სტუდენტი (140%-ით მეტი ვიდრე 2010-2011 წელს) (დიაგრამა 2). ქართულ ენაში

მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით მოსარგებლეთა ზრდის მაჩვენებელი განსხვავდება სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან ჯგუფში. აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების შემთხვევაში ზრდის მაჩვენებელი არის 170%, ხოლო სომხურენოვანი სტუდენტების შემთხვევაში 96% (დიაგრამა 3). რაც შეეხება აფხაზურენოვან და ოსურენოვან აბიტურიენტებს, 2017 წელს ამ პროგრამით მხოლოდ ერთმა ოსმა აბიტურიენტმა ისარგებლა.

სტუდენტებიდან ნაწილი ვერ აგრძელებს ბაკალავრიატზე სწავლას. 2014-2017 წლებში ბაკალავრიატის პირველ კურსზე ჩაირიცხა 2013-2016 წელს ქართულ ენაში მოსამზადებელ კურსზე ჩარიცხულთა დაახლოებით 69% (დიაგრამა 5).

კიდევ უფრო მცირეა მათი წილი, ვინც დაასრულა ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლა. 2014 წლიდან 2017 წლის ჩათვლით, ბაკალავრიატის საფეხური სულ დაასრულა 278-მა სტუდენტმა, რაც 2010-2013 წელს მოსამზადებელ პროგრამაზე ჩაბარებულთა რაოდენობის 12,4%-ია.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით სარგებლობა სტუდენტებს შეუძლიათ ყველა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში და ასევე კერძო უნივერსიტეტებში, რომელთაც გავლილი აქვთ პროგრამის აკრედიტაცია. თუმცა აბიტურიენტებს შორის მხოლოდ რამოდენიმე უნივერსიტეტია პოპულარული. 2017 წელს სტუდენტების 96%-მა ჩააბარა 5 სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამასთან ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს სტუდენტების 37%, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში კი 20-20% (დიაგრამა 7).

პროგრამის დისკრიმინაციული ხასიათი

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების აზრით, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დისკრიმინაციულია საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ, რომლებიც ამთავრებენ საქართველოში მოქმედ რუსულენოვან სკოლებს ან ქართულენოვანი სკოლების რუსულ სექტორს, საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც ზოგადი განათლება მიიღეს საქართველოს ფარგლებს გარეთ (არააზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე) და სურთ საქართველოში უმაღლესი განათლების მიღება.

ექსპერტების აზრით, რუსული სასკოლო განათლების მქონე მცირე ეთნიკური ჯგუფების კვოტირების სისტემაში ჩართვის შემ-

თხვევაში რუსულ სკოლებში მოსწავლეთა გადადინების შესაძლო რისკის თავიდან აცილებისთვის საჭიროა ჩაიდოს დამცავი მექანიზმები.

საქართველოში დაბრუნებული მოქალაქეების ქართული უმაღლესი განათლებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის, სახელმწიფომ შესაძლოა შეიმუშაოს ცალკე პროგრამა.

ქართული ენის ცოდნის შეფასების უნიფიცირებული სისტემის არარსებობა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი სასწავლო წლის დაწყების წინ ატარებენ ქართული ენის ცოდნის შეფასების პრეტესტს, რის საფუძველზეც კომპლექტდება ჯგუფები (ნულოვანი ცოდნა, A1, A2). უნივერსიტეტები ასევე ატარებენ შუალედურ და ფინალურ ტესტირებას, რისთვისაც უნივერსიტეტები იყენებენ საკუთარ ტესტებს. პროგრამის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს არ აქვს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელი საბუთის ძალა.

იმის გამო, რომ არ არსებობს ქართული ენის ცოდნის შეფასების უნიფიცირებული სისტემა, რომელსაც ყველა უნივერსიტეტი გამოიყენებს, შეუძლებელია გვექონდეს სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტების მიერ მიღწეული შედეგის შესახებ ერთიანი სურათი, შედარდეს წლიდან წლამდე ქართული ენის ცოდნის დინამიკა. კვლევაში მონაწილე ყველა მხარე თანხმდებოდა, რომ აუცილებელია ქართული ენის ცოდნის დამდგენი უნიფიცირებული ტესტების შემუშავება და დანერგვა.

სწავლების დიფერენცირებული მიდგომების საჭიროება

მიუხედავად იმისა პრეტესტებზე სტუდენტები ქართული ენის როგორ ცოდნას ავლენენ, სასწავლო პროგრამა ყველასთვის არის იდენტური, როგორც შინაარსობრივად ისე ხანგრძლივობის მიხედვით. ამასთან უნივერსიტეტი ვალდებულია ერთი წლის განმავლობაში მინიმუმ B2 დონეზე მოამზადოს სტუდენტი ბაკალავრიატისთვის, რაც დაუძლეველი ამოცანაა ნულოვანი ან თითქმის ნულოვანი ცოდნის შემთხვევაში. ის სტუდენტები, რომლებიც იჭრებიან ფინალურ ტესტირებაზე, ხელმეორედ გადიან მოსამზადებელ კურსს. უნივერსიტეტების წარმომადგენლების აზრით, მნიშვნელოვანია სხვადასხვა ცოდნის დონის მქონე სტუდენტებისთვის განსხვავებული სასწავლო პროგრამა არსებობდეს (მაგ.: ერთწლიანი, ორწლიანი).

ბაკალავრიატზე სწავლების სირთულეები

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მონაცემები, თუ რის გამო ანებებენ პროგრამის ბენეფიციარი სტუდენტები ბაკალავრიატზე სწავლას, არსებობს მოსაზრება, რომ ხშირ შემთხვევაში ამის მიზეზი ქართულ ენაზე საგნების სწავლის სირთულეა. ექსპერტები თვლიან, რომ კარგი იქნება თუ დაწესდება ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად ქართული ენის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც ერთის მხრივ, გაზრდის ენის სწავლის მოტივაციას და მეორეს მხრივ, გამორიცხავს ისეთი სტუდენტების გადასვლას ბაკალავრიატის საფეხურზე, რომლებიც ვერ დაძლევენ ბაკალავრიატზე სწავლას. ამავე დროს მნიშვნელოვანია რომ ბაკალავრიატზე სწავლების პირველ წელს 1+4 პროგრამის სტუდენტებისთვის დაემატოს ქართული ენის საგნობრივი სწავლების კურსი, რომელიც დაეხმარება მათ არჩეულ ფაკულტეტზე სავალდებულო საგნების სწავლაში.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრაციის კომპონენტის დამატება

ენის აკადემიურ სწავლებასთან ერთად ინტეგრაციული კომპონენტის დამატებას პოზიტიური გავლენა აქვს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებზე. ამაზე მიუთითებს სტუდენტების გამოკითხვისა და ფოკუს ჯგუფის შედეგები. პროგრამის ხელმძღვანელები / ლექტორები აცხადებენ, რომ ინტეგრაციაზე მიმართულ აქტივობებში, ახალგაზრდულ კლუბებში ჩართული სტუდენტები უკეთესად ახერხებენ ენის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, სასწავლო პროცესებში ჩართვას.

პროგრამის განმახორციელებელი უნივერსიტეტებიდან ინტეგრაციული კომპონენტი აკადემიურ პროგრამაში ჩართული აქვს მხოლოდ ილიას უნივერსიტეტს, „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერების და ინტეგრაციის მხარდაჭერის“ [PITA] პროგრამის ფარგლებში შექმნილი ახალგაზრდული კლუბები კი ფუნქციონირებს ილიას უნივერსიტეტსა და თბილისის ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კვლევაში მონაწილე მხარეები თანხმდებიან იმაზე, რომ პროგრამის საბოლოო მიზნის მიღწევისთვის მნიშვნელოვანია ინტეგრაციული კომპონენტის დამატება, რისთვისაც შესაძლებელია საჭირო გახდეს პროგრამის მიმართ მოთხოვნების ცვლილება.

უნივერსიტეტებისთვის კვოტების გამოყოფის სისტემა

უმაღლესი განათლების შესახებ კანონით დადგენილია იმ სტუდენტების კვოტა, რომლებიც გაივლიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სტუდენტთა მიღებას ერთიანი ეროვნული გამოცდებით, სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისთვის გამოყოფს ერთიანი ეროვნული გამოცდებით მისაღებ სტუდენტთა საერთო რაოდენობის 5-5%-ის ოდენობის ვაკანტურ ადგილებს, ხოლო ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი აბიტურიენტებისთვის 1-1%-ს. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, პროგრამის ბენეფიციარი აბიტურიენტების მხრიდან მხოლოდ რამოდენიმე უნივერსიტეტზეა მაღალი მოთხოვნა. დანარჩენი უნივერსიტეტებისთვის პროგრამის განხორციელება წამგებიანია. შესაბამისად შესაძლებელია კვოტების გამოყოფის უფრო მოქნილი სისტემა შეიქმნას და კვოტის ზომა დამოკიდებული იყოს უნივერსიტეტში სწავლაზე არსებულ მოთხოვნაზე.

პროგრამის ბენეფიციარი კურსდამთავრებულების შემდგომი ინტეგრაცია

საშეღავათო პოლიტიკის საბოლოო მიზნის, სამოქალაქო ინტეგრაციის მიღწევისთვის მნიშვნელოვანია პროგრამის კურსდამთავრებულების შემდგომი ინტეგრაციის ხელშეწყობა. ამ ეტაპზე არ არის ცნობილი ზუსტი მონაცემები როგორია დასაქმების მაჩვენებელი კურსდამთავრებულებს შორის, რა სფეროებში საქმდებიან ისინი სწავლის დასრულების შემდეგ.

უკანასკნელ წლებში სახელმწიფომ გადადგა გარკვეული ნაბიჯები, პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობის კუთხით.

2016 წლიდან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების“ პროგრამის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში აგზავნის დამხმარე მასწავლებლებს, რომლებიც 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულები არიან. იმისათვის, რომ მომავალში დამხმარე მასწავლებლებმა შეძლონ ბილინგვ მასწავლებლად მუშაობა, საჭიროა გაიარონ მასწავლებელთა მომზადების 1 წლიანი პროგრამა, რისთვისაც ამ ერთი

წლის განმავლობაში მოუწევთ სკოლაში მუშაობის შეწყვეტა. ეს ზრდის საკადრო რესურსის დაკარგვის და მათი სხვა სფეროში დასაქმების რისკს. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ინიცირებულია ზოგადი განათლების კანონში საკანონდმებლო ცვლილების პროექტი, რომელიც გულისხმობს „მაძიებლობის პროგრამის შემოღებას“. „მაძიებლობის“ შემოღების შემთხვევაში, დამხმარე მასწავლებლები შეძლებენ სკოლაში მუშაობის პარალელურად ჩაერთონ მაძიებლობის პროგრამაში, გაიარონ 60 კრედიტის პროგრამა, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგაც გახდებიან მასწავლებლები.

პროგრამის ბენეფიციარების შემდგომი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით 2017 წლის მაისში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, საქართველოს გაეროს ასოციაციასთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით, „1+4“ პროგრამაში ჩართული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელებისათვის სტაჟირების პროგრამა დაიწყო. სტაჟირების ფარგლებში 65 ახალგაზრდამ გაიარა სამთვლიანი სტაჟირება 20 სახელმწიფო უწყებაში.

კვლევაში ჩართული ყველა მხარე თანხმდება, რომ საშეღავათო პოლიტიკის საბოლოო მიზნის მიღწევისთვის მნიშვნელოვანია პროგრამის კურსდამთავრებულების შემდგომი მხარდაჭერა მათი დასაქმებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით.

თავი 3. ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის შემუშავებული საშეღავათო პოლიტიკის მიმო- ხილვა საქართველოში

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2004 წელს წარმოდგენილი საგანმანათლებლო რეფორმა მიზნად ისახავდა ყველა აბიტურიენტისათვის თანაბარი პირობების შექმნას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებისას. ამ რეფორმის ფარგლებში, 2005 წლიდან საქართველოში დაინერგა ერთიანი ეროვნული გამოცდები, რომლის მიხედვითაც, ყველა აბიტურიენტი ვალდებული გახდა ჩაებარებინა სამი გამოცდა: ქართული ენა, ზოგადი უნარები (ქართულ ან რუსულ ენაზე) და უცხო ენა. რეფორმის პირველ წელს მხოლოდ ოცი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, რაც გაცილებით დაბალი მაჩვენებელი იყო წინა წლებთან შედარებით. რეფორმის ამ ნეგატიური ეფექტის აღმოსაფხვრელად საქართველომ დაიწყო „საშეღავათო პოლიტიკის“ განხორციელება ეთნიკური უმცირესობებისთვის. (ტაბატაძე, 2013)

2006 წელს ცვლილებები შევიდა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებაში, აბიტურიენტებს შესაძლებლობა მიეცათ ზოგადი უნარების და არჩევითი საგნების ტესტირება რუსულ ენაზე გაეწეოთ. საშეღავათო პოლიტიკის ნაწილი იყო ასევე 2006 წლიდან მოსამზადებელი კურსების ორგანიზება ნინოწმინდისა და ახალქალაქის ენის სახლებში ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამონაწილეობით (ტაბატაძე, 2009). შედეგად ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტთა რაოდენობა გაიზარდა. ქვემო ქართლიდან და სამცხე ჯავახეთიდან სულ ჯამში 56 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი. 2007 წლიდან ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობამ კვლავ იკლო.

2008 წელს ცვლილებები შევიდა ეროვნული გამოცდების დებულებაში, რომლის მიხედვითაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს უფლება მიეცათ ზოგადი უნარების გამოცდა ჩაებარებინათ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც. ამასთან ერთად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის გაგრძელდა

ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი პროგრამა, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აფინანსებდა.

ზოგადი უნარების ტესტების მშობლიურ ენაზე ჩაბარების შესაძლებლობამ გაზარდა ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებულთა და ჩარიცხულთა რაოდენობა (72 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, რომელმაც სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე გაიარა ტესტირება), თუმცა, ამან ვერ მოახდინა რადიკალური ცვლილება ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობისა და მათთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვნად გასაზრდელად (ტაბატაძე 2013).

ქართულ ენაში მომზადების პროგრამის შემოღება

2009 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადაწყვიტა განეხორციელებინა ისეთი ცვლილებები, რომლებიც გაზრდიდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ხელმისაწვდომობას უმაღლესი განათლებისადმი და ამით ხელს შეუწყობდა მათ სამოქალაქო ინტეგრაციას.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების საფუძველზე, შეიქმნა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუხლი 47³). ამ პროგრამით ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანული, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქის მიერ ქართული ენის (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი) შესწავლა იმ დონეზე, რაც აუცილებელია ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ ვეტერინარის ან დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად.


კანონში შეტანილი ცვლილების მიხედვით დადგინდა იმ სტუდენტების კვოტა, რომლებიც გაივლიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სტუდენტთა მიღებას ერთიანი ეროვნული გამოცდებით, სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისთვის გამოყოფს ერთიანი ეროვნული გამოცდებით მისაღებ სტუდენტთა საერთო რაოდენობის

5-5%-ის ოდენობის ვაკანტურ ადგილებს, ხოლო ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი აბიტურიენტებისთვის 1-1%-ს (მუხლი 52.5¹).

მხოლოდ ზოგადი უნარების ამერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტების ჩარიცხვის წესი განისაზღვრა, როგორც დროებითი ღონისძიება, რომლის მოქმედების ვადა სრულდება 2018-2019 სასწავლო წლის ბოლოს. (მუხლი 90.2²)

კანონში განხორციელებული ცვლილებების ფონზე მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ აბიტურიენტთა რიცხვი, რომლებმაც გადაწყვიტეს ესარგებლათ „ქართულ ენაში მომზადების პროგრამით“ (ე.წ. 1+4 პროგრამა). 2010 წლიდან 2017 წლამდე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა რაოდენობა წლიდან წლამდე მატულობს.

დიაგრამა 1. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრირებულ აბიტურიენტთა რაოდენობა, რომელთაც გადაწყვიტეს ესარგებლათ ქართულ ენაში მომზადების პროგრამით.




წყარო: გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი

წლიდან წლამდე ასევე მატულობს სტუდენტების რაოდენობა, რომელთაც გადალახეს ზოგადი უნარების ტესტის მინიმალური ზღვარი და ჩაირიცხნენ ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე. პროგრამის განხორციელების დაწყებიდან დღემდე თითქმის 140%-ით გაიზარდა პროგრამით მოსარგებლეების რაოდენობა. თუ 2010-2011 სასწავლო წელს პროგრამით ისარგებლა 331-მა

სტუდენტმა, 2017-2018 სასწავლო წელს ქართული ენაში მომზადების პროგრამით სარგებლობს 792 სტუდენტი.

აღსანიშნავია, რომ 2013 წელს დარეგისტრირებული აბიტურიენტების რაოდენობის პიკი შეინიშნება, როგორც ეთნიკურ უმცირესობებში, ისე საერთო ეროვნულ დონეზე.


დიაგრამა 2. ქართულ ენაში მომზადების პროგრამაში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა, 2010-2011 დან 2017-2018 სასწავლო წლები, და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სულ ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა, 2011-2012 დან 2017-2018 სასწავლო წლები



წყარო: გამოცდებისა და შეფასების ცენტრი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით მოსარგებლეთა ზრდის მაჩვენებელი განსხვავდება სომხურენოვან და ამერბაიჯანულენოვან ჯგუფში. ამერბაიჯანულენოვანი სტუდენტების შემთხვევაში ზრდის მაჩვენებელი არის 170%, ხოლო სომხურენოვანი სტუდენტების შემთხვევაში 96%. ასეთი განსხვავების მიზეზი, როგორც უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან ინტერვიუთი ირკვევა, დიდი ალბათობით არის შპს „სოკარის“ მიერ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ამერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისთვის გაწეული დახმარება. „სოკარი“ ამოქმედების წლიდანვე ჩაერთო პროგრამაში და სწავლის გადასახადს უხდის იმ სტუდენტებს, რომლებმაც ვერ მოიპოვეს სახელმწიფო დაფინანსება. რაც შეეხება აფხაზურენოვან და ოსურენოვან აბიტურიენტებს, 2017 წელს ამ პროგრამით მხოლოდ ერთმა ოსმა აბიტურიენტმა ისარგებლა.


დიაგრამა 3. ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის მოსარგებლე სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების რაოდენობა 2010-2017 წელი



ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, პროგრამის ბენეფიციარ სტუდენტებს უფლება აქვთ ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ ვეტერინარის ან დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლა გააგრძელონ ქართულ ენაზე.


ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებლის გამოთვლისთვის, 2013-2016 წლებში ქართულ ენაში მომზადების პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა შევადარეთ 2014-2017 წლებში ბაკალავრიატის პირველ კურსზე ჩარიცხულთა რაოდენობას. როგორც აღმოჩნდა, 2013-2016 წლებში სულ პირველი წლის დასრულების შემდეგ სტუდენტების, დაახლოებით 69%-მა ბაკალავრიატის საფეხურზე განაგრძო სწავლა.

დიაგრამა 4. 2013-2016 წლებში ქართულ ენაში მოსამზადებელ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა



წყარო: განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი


დიაგრამა 5. 2014-2017 წლებში ბაკალავრიატის საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი წინა წელს ქართულ ენაში მოსამზადებელ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩარიცხულთა რაოდენობიდან



წყარო: განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი

კიდევ უფრო მცირეა მათი წილი ვინც დაასრულა ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლა. 2014 წლიდან 2017 წლის ჩათვლით, ბაკალავრიატის საფეხური სულ დაასრულა 278-მა სტუდენტმა, რაც 2010-2013 წელს მოსამზადებელ პროგრამაზე ჩაბარებულთა რაოდენობის 12,4%-ია.

დიაგრამა 6 2010-2013 წლებში მოსამზადებელ პროგრამაზე ჩაბარებულთა რაოდენობის შედარება 5 წლის შემდეგ ბაკალავრიატის საფეხურის დასრულების მაჩვენებელთან



წყარო: განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი

თავი 4. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი და სხვა დაინტერესებული მხარეები

ამ თავში აღწერილია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უშუალო განმახორციელებლები და ირიბად ან პირდაპირ დაკავშირებული სხვა მხარეების წვლილი.

4.1 პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია,¹ განახორციელოს ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე იმ სტუდენტების მიღება, რომლებიც გადიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეუძლია კერძო სამართლის იურიდიულ პირებსაც, რომლებმაც გაიარეს პროგრამის აკრედიტაცია.

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის პირველი აკრედიტაცია გაიარეს 2012-2013 სასწავლო წლის დაწყებამდე. პირველი აკრედიტაციის ჩატარებამდე კი საგანმანათლებლო დაწესებულების ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ჩაითვადა აკრედიტებულად.²


მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სამიზნე ჯგუფს ქართული ენის მომზადების პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ ყველა უმაღლეს სასწავლებელში, რომელსაც გავლილი აქვს პროგრამის აკრედიტაცია, აბიტურიენტების უმრავლესობა კონცენტრირებულია რამდენიმე უნივერსიტეტში. 2014-2017 წლებში ამ პროგრამით აბიტურიენტებმა ჩააბარეს 10 უნივერსიტეტში.

2017 წელს სტუდენტების 96% სწავლობს 5 უნივერსიტეტში, ამასთან ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ-

სიტეტში სწავლობს სტუდენტების 37%, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში კი 20-20%.


- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
- სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დიაგრამა 7: 2017 წელს ქართული ენის მოსამზადებელ პროგრამაზე ჩარიცხულ აბიტურიენტთა განაწილება უნივერსიტეტების მიხედვით



წყარო: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

დიაგრამა 8: ქართული ენის მოსამზადებელ პროგრამაზე ჩარიცხულ აბიტურიენტთა განაწილება უნივერსიტეტების მიხედვით, 2010 – 2017 წლები



წყარო: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

1 საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 47³, პუნქტი 7

2 საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 89, პუნქტი 6 4

პროგრამის შესახებ ინფორმირება

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაწყების პირველ წლებში, არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეების / აბიტურიენტების ინფორმირებულობა დაბალი იყო, უნივერსიტეტებმა მესამე წლიდან დაიწყეს საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება სამიზნე რეგიონებში. ბოლო რამდენიმე წელია ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების კვოტა ივსება და ამიტომ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების საჭიროებას ვერ ხედავენ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და ახალციხის უნივერსიტეტები კვლავაც აგრძელებენ საინფორმაციო შეხვედრებს.

საორიენტაციო შეხვედრები სტუდენტებთან

სწავლის დაწყებამდე უნივერსიტეტები ატარებენ საორიენტაციო შეხვედრებს პროგრამის ბენეფიციარ სტუდენტებთან. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ზოგადად, ეს პროცესი უფრო სტანდარტიზებულია და მეტადაა ორიენტირებული სტუდენტის სტუდენტური ცხოვრებისთვის მომზადებაზე, მათ შორის, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის.

პროგრამაზე დარეგისტრირებისა და ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს უტარდებათ საინფორმაციო შეხვედრა, სადაც ფინანსური კოორდინატორი აცნობს ფინანსურ საკითხებს; არგუსის კოორდინატორი აცნობს არგუსის მუშაობის სპეციფიკას; ქცევის კოდექსის წარმომადგენელი პირადად აცნობს ქცევის კოდექსს; მუდლის პლატფორმის (დავალელების ელექტრონული მართვის სისტემა) ადმინისტრატორი აცნობს პროგრამაში რეგისტრაციის წესებს. გარდა ამისა, სტუდენტებს ხვდებიან რექტორი და პროგრამის დეკანი.

ქართული ენის ცოდნის წინასწარი შეფასება

არაქართულენოვანი სკოლის ატესტატი გულისხმობს, რომ კურსდამთავრებული მინიმუმ B1 დონეზე უნდა ფლობდეს ქართულ ენას, თუმცა რეალობა განსხვავებულია. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების თქმით, სტუდენტები ქართული ენის განსხვავებული ცოდნის დონით მოდიან სკოლიდან. ეს გარკვეულ სირთულეებს ქმნი-

და სწავლების პროცესში, ამიტომ ბოლო რამდენიმე წელია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილიას უნივერსიტეტში ენობრივი კომპეტენციის დადგენის მიზნით ატარებენ ენობრივი დონის გამსაზღვრელ პრეტესტს. ტესტების მეშვეობით ხდება სამი უნარის შეფასება: წერა, კითხვა და მოსმენა. თსუ-ში 2017 წელს პირველად დაინერგა ზეპირი მეტყველების უნარის შეფასებაც. ილია უნივერსიტეტში კი მომავალი წლიდან აპირებენ მეტყველების უნარის შეფასების მოდულის დამატებას.

განსხვავებული მიდგომა აქვს ახალციხის უნივერსიტეტს, სადაც არ ხდება ენის ცოდნის წინასწარი შეფასება და სხვადასხვა ენობრივი კომპეტენციის სტუდენტები ერთად სწავლობენ.

თსუ-ს და ილიას უნივერსიტეტებში ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელები ტესტის შედეგების მიხედვით ნაწილდებიან სამ ჯგუფში (ნულოვანი, A1 და A2).

აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ქართული ენის კომპეტენციის დამდგენი უნიფიცირებული ტესტი, რომელსაც ყველა უნივერსიტეტი გამოიყენებს. ამიტომაც, თსუ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტები იყენებენ ლექტორთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ ტესტებს.

სოციალური ინტეგრაციისკენ მიმართული აქტივობები

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას ილიას უნივერსიტეტში ჰქვია „ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამა“, რითაც ხაზი გაესვა აკადემიურ განათლებასთან ერთად ინტეგრაციის მნიშვნელობას.

არაქართულენოვანი სტუდენტების სოციალური ინტეგრაციისთვის ილიას უნივერსიტეტმა პროგრამის ამოქმედებისთანავე (2010 წლიდან) დაიწყო ე.წ. ტუტორიუმის პროგრამა. ტუტორიუმის პროგრამის მიზანია ქართულ ენაში მიღებული ცოდნა სტუდენტებმა პრაქტიკაში გამოიყენონ. ამისთვის ილიას უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ორი კურსი (სემესტრში ერთი კურსი). ამ კურსების ფარგლებში ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის ქართულენოვანი ან არაქართულენოვანი სტუდენტები ეხმარებიან მოსამზადებელი კურსის სტუდენტებს. 5 სტუდენტზე გამოყოფილია 1 ტუტორი. სტუდენტებს ეძლევათ დავალებები სხვადასხვა საყოფაცხოვრებო თემაზე, რომელთა შესრულებაშიც ეხმარებიან ტუტორები. მაგალითად, თემა შეიძლება იყოს „მა-

ლაზიაში პროდუქტების შეძენა“. სტუდენტები ტუტორთან ერთად მიდიან სასურსათო მაღაზიაში და ცდილობენ გამოიყენონ ლექციაზე ნასწავლი ფრაზები, გრამატიკული კონსტრუქციები. შემდეგ სტუდენტები ამზადებენ პრეზენტაციას. დავალებები ეხება ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოსაყენებელ თემებს (ბანკი, ტრანსპორტი, გართობა და ა.შ.).

2013 წელს ტუტორიუმის პროგრამის განხორციელებაში ჩაერთო საქართველოს გაეროს ასოციაცია PITA-ას პროგრამის ფარგლებში. პროგრამის ფარგლებში, 2015 წლიდან ტუტორიუმი დაინერგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, რაშიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი დახმარებას უწევს ტუტორების მომზადების და გამოცდილების გაზიარებით. აღსანიშნავია, რომ თუ ილიას უნივერსიტეტში ინტეგრაციის მიმართულება აკადემიური კურსის ნაწილია, თსუ-ს შემთხვევაში ეს ღონისძიებები არ არის აკადემიურ პროგრამაში ინტეგრირებული, რადგან კანონის მიხედვით უნივერსიტეტს არ აქვს უფლება პროგრამის შემდეგი აკრედიტაციის გავლამდე შეცვალოს საგანმანათლებლო კურსის სტრუქტურა.

PITA-ას პროგრამის გარდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს არაქართულენოვანი სტუდენტების ინტეგრაციისკენ მიმართულ პროექტების განხორციელებაში ეხმარებიან ორგანიზაციები - ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“ და „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“.

ინტეგრაციაზე მიმართული ღონისძიებების გარდა არაქართულენოვანი სტუდენტების სოციალურ ინტეგრაციაზე გავლენას ახდენს შენობა, სადაც ტარდება ლექციები. ილიას უნივერსიტეტში ქართულენოვან და არაქართულენოვან სტუდენტებს ერთსა და იმავე შენობაში უტარდებათ ლექციები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კი ქართულ ენაში მოსამზადებელი პროგრამის სტუდენტებისთვის ცალკე შენობაა გამოყოფილი, რომელიც განთავსებულია ავლაბარში. ამ შენობაში არ ტარდება სხვა აკადემიური პროგრამის ლექციები. შესაბამისად, იშვიათი შემთხვევების გარდა ამერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტები არ ხვდებიან სხვა შენობებში და ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობის შესაძლებლობაც შეზღუდული აქვთ.

კიდევ ერთი საკითხია ამერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტე-

ბის ცალ-ცალკე ჯგუფებად ფორმირება. ილიას უნივერსიტეტში პირველივე სემესტრიდან სომეხი და ამერბაიჯანელი სტუდენტები ერთად გადიან ქართულ ენაში მომზადების პროგრამას. მათ უწევთ ერთმანეთთან კომუნიკაციისთვის გამოიყენონ ქართული ენა, რაც კიდევ უფრო ეხმარებათ ლექციებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაში. თსუ-ში კი მხოლოდ მეორე სემესტრიდან ხდება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ერთად გაერთიანება. ფოკუს ჯგუფის მონაწილე სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სომხურენოვანი და ამერბაიჯანულენოვანი სტუდენტების ერთ ჯგუფში სწავლება მათ ეხმარებათ ენის დაუფლებაში.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების პროცესი

სასწავლო პროგრამების პირველი აკრედიტაცია უნივერსიტეტებმა 2011-2012 სასწავლო წლისთვის გაიარეს და 7 წლის თავზე მათ უწევთ პროგრამების ხელახალი აკრედიტაცია.

აკრედიტაციიდან აკრედიტაციამდე უნივერსიტეტებს არ აქვთ უფლება მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელონ პროგრამის სტრუქტურაში. თუმცა, წლიდან წლამდე უნივერსიტეტებში გროვდებოდა გამოცდილება არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ქართულის სწავლების მეთოდების კუთხით, იხვეწებოდა სასწავლო რესურსები და მიდგომები.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის 60 კრედიტიანი (30 კრედიტი თითოეულ სემესტრში). კანონის მიხედვით, 60-ვე კრედიტში იგულისხმებოდა ქართული ენის სწავლება მხოლოდ და არ იყო მითითებული ინტეგრაციის კომპონენტის დამატებამდე.

პროგრამის სტრუქტურა უნივერსიტეტების მიხედვით განსხვავებულია.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამაში ქართული ენის სწავლების გარდა ჩასმულია სხვა კურსები, რომლებიც ეხმარება სტუდენტებს სოციალურ ინტეგრაციასა და სტუდენტურ ცხოვრებაში:

- ქართული ენის კურსი 1 და 2
- ენა და კულტურათაშორისი დიალოგი
- მედია კურსი 1 და 2

- მინი პროექტები 1 და 2
- დარგობრივი ენის კურსი
- წინასაგამოცდო კურსი
- კომპიუტერის საბაზისო კურსი არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის
- ინფორმაციული წიგნიერება არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის სტრუქტურა მთლიანად ქართული ენის სწავლებასა და აგებული:

- ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები
- ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა
- ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები
- ქართული ენის ორთოეპია და მართლწერა

ახლო მომავალში თსუ-ში იგეგმება, სტუდენტებს შესთავაზონ საგნობრივ კომპეტენციებში მომზადება. ეს იქნება არჩევითი საგანი.

სამცხე ჯავახეთის უნივერსიტეტის პროგრამის სტრუქტურაც მხოლოდ ქართული ენის კურსებისგან შედგება:

- წერა, ფუნქციური წერის ელემენტები
- კითხვა, ლექსიკა და კითხვის სტრატეგიები
- ქართული ენის სპეცკურსი (სპეციალობის ტერმინოლოგიით)
- მოსმენა
- ლაპარაკი, ზეპირმეტყველების სტრატეგიები
- ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები
- ქართული ენის ორთოეპია და მეტყველების კულტურის საკითხები

პროგრამის ამოქმედებისას უნივერსიტეტებს არ ჰქონდათ ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების სახელმძღვანელოები. ამჟამად უნივერსიტეტებს გამოცემული აქვთ რამდენიმე სახის სახელმძღვანელო, რომელსაც თვითონ იყენებენ (მაგ.: თსუ-ს აქვს შემუშავებული 30 სახელმძღვანელო, მათ შორის 15-მდე გამოცემული).

ყველა სტუდენტი, იმის მიუხედავად თუ რომელ დონეზე მოხვდა პრე-ტესტის შემდეგ, ერთსა და იმავე სასწავლო მასალას გადის. სასწავლო კურსები არ არის დიფერენცირებული საწყისი ცოდნის დონის მიხედვით.

შეაღდური და საბოლოო შეფასება

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები პრე-ტესტის გარდა გადიან შეაღდურ და საბოლოო ტესტირებას.

პროგრამის დასრულების შემდეგ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ატარებენ საბოლოო შეფასებას და გაცემენ ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს. თუმცა, ამ სერტიფიკატს არ აქვს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელი საბუთის ძალა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში სტუდენტი მომავალში გამოიყენებს, მაგალითისთვის, საჯარო სამსახურში მისაღებად.

იმის მიუხედავად, თუ რა საწყისი ცოდნით მოვიდა სტუდენტი უნივერსიტეტში, უნივერსიტეტი ვალდებულია, B2 დონეზე მოამზადოს სტუდენტი ბაკალავრიატისთვის, იმისათვის, რომ დაძლიოს საგნობრივი სწავლა ქართულ ენაზე. პროგრამების ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ B2 დონის მიღწევა ვერ ხერხდება იმ სტუდენტების შემთხვევაში, რომლებიც ნულოვანი ან თითქმის ნულოვანი ცოდნით მოდიან უნივერსიტეტში. ასეთი სტუდენტები იჭრებიან საბოლოო შეფასების დროს და ხელმეორედ გადიან მოსამზადებელ კურსს (მაგალითად ილიას უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წელს დაახლოებით 30% ჩაიჭრა), მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენაში მომზადების პროგრამა ერთწლიანია, კანონში არ არის აკრძალვა პროგრამის ხელმეორედ გავლაზე. სტუდენტს სახელმწიფო უფინანსებს 1+4 წელს. ამიტომ იმ სტუდენტებს, რომლებმაც ორჯერ გაიარეს მოსამზადებელი კურსი, ბაკალავრიატზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში მოუწევთ ბოლო კურსის თვითდაფინანსება.

უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა

2017 წელს შეიქმნა უნივერსიტეტების გაერთიანება, რომლებიც ქართულ ენაში მოსამზადებელ პროგრამას ახორციელებენ. ამ გაერთიანების შექმნის ინიციატორი იყო ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. ამ ეტაპზე ასოციაციაში 9 უნივერსიტეტია გაწევრიანებული. ასოციაციის მიზანია საუკეთესო პრაქტიკების და გამოცდილების გაზიარება და პრობლემებზე ერთობლივი მუშაობა.

4.2 პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული მხარეები

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახდენს ქართულ ენაში მომზადების პროგრამის საკანონმდებლო რეგულირებას. 2009 წლის შემდეგ უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შევიდა მხოლოდ რამდენიმე ცვლილება, რომელიც ეხება ეთნიკური უმცირესობებისათვის უმაღლესი განათლებისადმი ხელმისაწვდომობას.

2015 წელს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ გავლის უფლება აქვთ იმ პირებსაც, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩაირიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ეს ჩანაწერი ეხება საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც უცხოეთში მიიღეს ზოგადი განათლება.

2015 წელს კანონში გაკეთდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, თუ ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების მშობლიურ ენაზე შედეგების საფუძველზე ჩარიცხულმა სტუდენტმა მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტი, კერძო უმაღლესი სასწავლებლის მიერ დადგენილ სწავლის საფასურს სახელმწიფო ფარავს მხოლოდ 2250 ლარის ოდენობით.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყოველწლიურად ამტკიცებს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის / სტომატოლოგის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებებს, რომლებშიც სტუდენტის სწავლის საფასურს სრულად ან / და ნაწილობრივ აფინანსებს სახელმწიფო.

2013 წელს სახელმწიფომ პრიორიტეტულად ჩათვალა 21 საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზე სწავლებასაც სრულად აფინანსებს ქართულენოვანი სტუდენტებისთვის. პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამების სრულად დაფინანსების შესაძლებლობით ვერ სარგებლობენ ეთნიკური უმცირესობები, რომელთაც მშობლიურ ენაზე ჩააბარეს ზოგადი

უნარების გამოცდა და მოხვდნენ „ქართულ ენაში მომზადების პროგრამაში“³.

ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილებაა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარდგინებით ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის წესის და საფასურის დამტკიცება.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ითანხმებს ყოველწლიურად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმ სტუდენტთა რაოდენობას, რომლებიც ირიცხებიან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ ზოგადი უნარების ამერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე.

ცენტრი ახორციელებს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციას, რისთვისაც იქმნება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭო.

ცენტრი ასევე აწარმოებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს, რომელიც შეიცავს მონაცემებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და ჩარიცხულ პირთა შესახებ. შესაბამისად, სტატისტიკური ინფორმაცია „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე“ და ბაკალავრიატზე ჩარიცხული პირების რაოდენობის შესახებ ხელმისაწვდომია რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით.

მეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

მეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას და შედეგების შეფასებას მათ შორის იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებიც აბარებენ მხოლოდ ზოგადი უნარებს ამერბაიჯანულ/სომხურ/აფხაზურ/ოსურ ენაზე.

3 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №135/6, 2017-2018 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 7.5

ცენტრი ადგენს იმ აბიტურიენტთა სიებს, რომლებმაც მოიპოვეს უფლება გაიარონ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და ისწავლონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და უგზავნის შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

2017 წლის მაისში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, საქართველოს გაეროს ასოციაციასთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით, „1+4“ პროგრამაში ჩართული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის სტაჟირების პროგრამა დაიწყო. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შეირჩა 65 ახალგაზრდა, რომლებმაც 20 სახელმწიფო უწყებაში 3-თვიანი სტაჟირება გაიარა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

2016 წლიდან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ახორციელებს პროგრამას „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება“⁴. პროგრამის მიზანია არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების, ადგილობრივი მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, საგნობრივი გამოცდებისთვის მომზადება და მათთვის სახელმწიფო ენის შესწავლა.

არაქართულენოვანი სკოლების საკადრო პრობლემების ნაწილობრივი მოგვარების მიზნით, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და კახეთი) არაქართულენოვან სკოლებში მივლენილია მასწავლებელთა 3 ჯგუფი: ქართულის, როგორც მეორე ენის კონსულტანტ-მასწავლებლები, ქართულის, როგორც მეორე ენის და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების (ისტორია და გეოგრაფია) დამხმარე მასწავლებლები და ბილინგვი დამხმარე

მასწავლებლები, რომლებიც 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულები არიან და ადგილობრივ მასწავლებელთან ერთად მუშაობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ნებისმიერ სასკოლო საგანში.

2016 – 2017 სასწავლო წელს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში გაიგზავნა 28, ხოლო 2017-2018 სასწავლო წელს 51 დამხმარე მასწავლებელი. მომავალში იგეგმება, რომ აქცენტი „1+4“ პროგრამის ბენეფიციარებზე გაკეთდეს, რადგან როგორც პრაქტიკამ აჩვენა ადგილებზე მათი მიმდებლობა უფრო მაღალია.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულებს პროფესიულ დახმარებას უწევს სხვადასხვა ტრენინგის სახით. კურსდამთავრებულების დაინტერესება დამხმარე მასწავლებლად მუშაობის დაწყების მიმართ საკმაოდ მაღალია. ცენტრის წარმომადგენლის თქმით, დამხმარე მასწავლებლად მუშაობის დაწყების მსურველი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს შეუძლია გაუშვას სკოლებში.

ცენტრის ხელმძღვანელობის წარმომადგენლის აზრით, არაქართულენოვანი სკოლების საკადრო რესურსების კუთხით არსებული პრობლემების გრძელვადიანი მოგვარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ დამხმარე მასწავლებლის სტატუსით მომუშავე ახლგაზრდები შემდგომში დარჩნენ სკოლებში და გააგძელონ მასწავლებლად მუშაობა.

არსებული კანონმდებლობით, დამხმარე მასწავლებლებს მასწავლებლად გახდომისთვის სჭირდებათ საგნის გამოცდის ჩაბარება ქართულ ენაზე და 60 კრედიტიანი ერთწლიანი მასწავლებლის მომზადების პროგრამის გავლა. ამისათვის, დამხმარე მასწავლებლებმა 1 წლით უნდა შეწყვიტონ სკოლაში მუშაობა. არსებობს რისკი, რომ მათ დასაქმების სხვა შესაძლებლობები გაუჩნდეთ ამ პერიოდში და სისტემამ დაკარგოს კადრი. კადრის გადინების რისკს მნიშვნელოვნად შემამცირებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ინიცირებული ზოგადი განათლების კანონში საკანონმდებლო ცვლილების პროექტი, რომელიც გულისხმობს „მაძიებლობის პროგრამის შემოღებას“. „მაძიებლობის“ შემოღების შემთხვევაში, დამხმარე

4 „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების“ პროგრამა აერთიანებს საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გასულ წლებში განხორციელებულ პროგრამებს - „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ (2009-2015წწ) და „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ (2011-2015წწ), რომელთა მიზანი იყო საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა.

მასწავლებლები შეძლებენ სკოლაში მუშაობის პარალელურად ჩაერთონ მაძიებლობის პროგრამაში, გაიარონ 60 კრედიტიანი პროგრამა, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგაც გახდებიან მასწავლებლები.

საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ახალგაზრდული ცენტრები, რომლებიც შექმნილია “ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის” [PITA] ფარგლებში. პროგრამა ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) მიერ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. ცენტრებში განწევრიანებული არიან „ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამის“ ბენეფიციარი სტუდენტები. ახალგაზრდულ ცენტრებში ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომელთა მიზანია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სამოქალაქო ინტეგრაცია.

PITA-ს ფარგლებში ილიას და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებში ფუნქციონირებს არაფორმალური განათლების პროგრამა ტუტორიუმი/„ტუტორების სკოლა“, რომლის ფარგლებში მაღალკურსელი სტუდენტები, ტუტორები, ერთი სემესტრის მანძილზე ეხმარებიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის არაქართულენოვან სტუდენტებს, აკადემიურ, საუნივერსიტეტო თუ სამოქალაქო სივრცეში ორიენტაციასა და სხვადასხვა პრაქტიკული დავალების მომზადებაში. ტუტორიუმის მიზანია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების ინტეგრაციის ხელშეწყობა და ტოლერანტული გარემოს გაძლიერება ახალგაზრდებში.

ფონდი „ღია საზოგადოება -საქართველო“

აფინანსებს სტუდენტების პროექტებს, რომლებიც მიმართულია ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისკენ.

სოკარი

შპს „სოკარი“ ყოველწლიურად ახორციელებს იმ აზერბაიჯანელი სტუდენტის დაფინანსებას, რომელთაც ვერ მოიპოვეს სახელმწიფო გრანტი.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

2015 წლის ივნისში პარლამენტმა დაამტკიცა კანონი „სახელმწიფო ენის შესახებ“. კანონის მიხედვით სახელმწიფო ენის ცოდნის მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის შეფასება მოხდება სახელმწიფო გამოცდის მეშვეობით. სახელმწიფო გამოცდის ჩატარების წესს დაადგენს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად. გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი. პირი, რომელიც ჩააბარებს სახელმწიფო ენის გამოცდას მიიღებს სერტიფიკატს, რომელსაც გამოიყენებს დანიშნულების სამებრ (საჯარო სამსახურში მიღება, მოქალაქეობის მოპოვება).

თანხები სახელმწიფო ენის დეპარტამენტის შექმნისთვის მხოლოდ 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში იქნა გათვალისწინებული.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი შესაძლოა გახდეს ის სტრუქტურა, რომელიც შეიმუშავებს ტესტებს ქართულის, როგორც უცხო ენის და ქართულის, როგორც მეორე ენის გამოცდისთვის.

თავი 5. ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის და ინტეგრაციის პოლიტიკის შეფასება

ამ თავში მოცემულია ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის და ინტეგრაციისკენ მიმართული პოლიტიკის შესახებ ექსპერტების მოსაზრებები, მათი თვალთვალთ დანახული ხარვეზები და რეკომენდაციები.

ეთნიკური უმცირესობებისათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა

სახელმწიფოს მიერ გატარებულმა საშეღავათო პოლიტიკამ ცალსახად დადებითი როლი შეასრულა ამერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ახალგაზრდებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით. ამას ცხადყოფს, როგორც ოფიციალური სტატისტიკა სტუდენტების რიცხოვნობის ზრდის დინამიკის შესახებ, ისე თავად პროგრამით მოსარგებლე სტუდენტების გამოკითხვის შედეგები.

თუმცა არსებული საშეღავათო პოლიტიკის მიღმა დარჩნენ სხვა შედარებით მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც ამთავრებენ საქართველოში მოქმედ რუსულენოვან სკოლებს ან ქართულენოვანი სკოლების რუსულ სექტორს და ასევე საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც ქვეყნის გარეთ მიიღეს ზოგადი განათლება (არა ამერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე) და სურთ საქართველოში უმაღლესი განათლების მიღება. გამოითქვა მოსაზრება რომ ამ უკანასკნელი ჯგუფისთვის შესაძლოა სახელმწიფომ შეიმუშაოს ცალკე პროგრამა, რომლის მიზანი იქნება საქართველოში დაბრუნებული მოქალაქეების ინტეგრაცია და ქართული უმაღლესი განათლებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

გამოითქვა მოსაზრება რომ საქართველოში მცხოვრები მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების ქართული უმაღლესი განათლების მიღმა დატოვება დისკრიმინაციულია, განსაკუთრებით ეს აქტუალურია 2014 წელს მიღებული საქართველოს კანონის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ მიღების ფონზე.

საქართველოში რუსული სასკოლო განათლების მქონე მცირე ეთნიკური ჯგუფების კვოტირების სისტემაში ჩართვის (რუსულ

ენაზე ზოგადი უნარების გამოცდით ჩაბარების შემოღება) შემთხვევაში არსებობს რისკი, რომ მოხდეს დამამთავრებელ კლასებში ქართული სკოლებიდან რუსულ სკოლებში გადადინება. ამის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ჩაიდოს მექანიზმები, (მაგალითად, აბიტურიენტს ბოლო 5 წელი უნდა ჰქონდეს ნასწავლი რუსულ სკოლაში; რუსულენოვანებისთვის კვოტა იყოს უფრო მცირე, ვიდრე სომხურ ან ამერბაიჯანულენოვანებისთვის).

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის გაზრდა რეგიონებში

„ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ გრძელვადიანი მიზანი იყო ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის გაზრდა ეთნიკურად არაქართველებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი). ამ მიზნის მიღწევის შეფასება ამ ეტაპზე რთულია, თუმცა ის, რომ სამცხე ჯავახეთიდან და ქვემო ქართლიდან უმაღლესი განათლების მიღებისთვის ახალგაზრდების გადინება მეზობელ ქვეყნებში მკვეთრად შემცირებულია, იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ საშეღავათო პოლიტიკის ეს მიზანი გარკვეულწილად მიღწეულია. პროგრამის ბენეფიციარები, რომლებმაც დაამთავრეს ბაკალავრიატის საფეხური, უბრუნდებიან თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს და საქმდებიან. როგორც წესი, ისინი წარმომადგენენ არაქართულენოვან სკოლებში ბილინგვური სწავლებისთვის საკადრო რესურსს რეგიონებში. პროგრამით მოსარგებლე კურსდამთავრებულები არაქართულენოვან სკოლებში მუშაობენ დამხმარე მასწავლებლებად.

არაქართულენოვანი სკოლები განიცდიან მწვავე დეფიციტს ბილინგვური მასწავლებლების კუთხით. მასწავლებლების დიდი ნაწილი 55 წელსაა გადაცილებული, რაც ნიშნავს, რომ უახლოეს წლებში ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დადგება და ბილინგვურ მასწავლებლებზე მოთხოვნა გაიზრდება. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ შემუშავებულ იქნას წახალისების მექანიზმები ბილინგვური მასწავლებლის პროფესიაში შესვლის მოტივაციის გასაზრდელად. წახალისების ერთ ერთი მექანიზმი შეიძლება იყოს ხელფასზე დანამატი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა 2012 წელს განაცხადა, რომ ის მასწავლებლები, რომლებიც ბილინგვური მასწავლებლის სტანდარტს დააკმაყოფილებს მიიღებენ 200 ლარიან დანამატს, მასწავლებელთა ხელფასის ფორმირების წესში ეს არ აისახა.

წახალისების ერთერთი მექანიზმი შეიძლება იყოს უფასო სწავლება მასწავლებელთა მომზადების პროგრამაზე. მართალია, ეს პროგრამა სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულ იმ 21 პროგრამას შორისაა, რომელსაც სახელმწიფო სრულად აფინანსებს, ეს შელავათი არ ვრცელდება „1+4“ პროგრამით მოსარგებლე სტუდენტებზე.

სამწუხაროდ, არ არსებობს სტატისტიკური ინფორმაცია რამდენი ახალგაზრდა დასაქმდა სახელმწიფო სტრუქტურებში რეგიონებში, თუმცა, გამოითქვა მოსაზრება, რომ პროგრამით მოსარგებლე ახალგაზრდებისთვის რთულია სახელმწიფო სტრუქტურებში და გადანაცვების მიმღებ პოზიციებზე დასაქმება. ამ სირთულის აღმოფხვრას შესაძლოა ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ბაკალავრიატის საფეხურის კურსდამთავრებულების სტაჟირების დანერგვამ.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი სახელმწიფო უნივერსიტეტების არათანაბარი პოპულარობა აბიტურიენტებს შორის

პროგრამის განმახორციელებელ სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან მხოლოდ რამოდენიმემა მაღალი მოთხოვნა აბიტურიენტების მხრიდან. დანარჩენ უნივერსიტეტებს ძალიან მცირე რაოდენობის სტუდენტი ჰყავთ (მაგ.: აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქუთაისი), იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი). ასეთი უნივერსიტეტებისთვის პროგრამის განხორციელება წამგებიანი ხდება. მეორეს მხრივ ახალციხის უნივერსიტეტში მოთხოვნა იმაზე მაღალია ვიდრე, უნივერსიტეტს შეუძლია მიიღოს. კვლევის პროცესში გამოითქვა მოსაზრება რომ შესაძლოა უნივერსიტეტებს ჰქონდეთ განსხვავებული კვოტები, იმის მიხედვით თუ როგორია მოთხოვნა მათ უნივერსიტეტში სწავლაზე.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლების დიფერენცირებული მიდგომების საჭიროება

ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამა არ არის მორგებული ყველა იმ ჯგუფზე, რომელიც აბარებს უნივერსიტეტებში. აბიტურიენტებს აქვთ ქართული ენის ძალიან განსხვავებული კომპეტენციის დონე, როდესაც ხვდებიან მოსამზადებელ

პროგრამაზე. მათთვის არ არის გათვალისწინებული სწავლების დიფერენცირებული მიდგომა. მიუხედავად იმისა, რომ სწავლის დაწყებისას უნივერსიტეტები პრეტესტების საფუძველზე სტუდენტებს ყოფენ ენის ცოდნის დონის მიხედვით, სასწავლო პროგრამა ერთნაირია ყველასთვის. შედეგად, მათთვის ვინც ცუდად იცოდა ქართული ენა, ერთი წელი არ არის ხოლმე საკმარისი ბაკალავრიატზე სწავლის გასაგრძელებლად, ხოლო მათ ვინც შედარებით კარგად იცოდა საკომუნიკაციო ენა, უჩნდებათ განცდა, რომ ტყუილად დაკარგეს ერთი წელი.

ეს თავს იჩენს ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლების ეტაპზე. სტუდენტების ნაწილი ანებებს სწავლას და ვერ ასრულებს ბაკალავრიატის საფეხურს. მართალია, ამის სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს, თუ რა მიზეზით დაანებეს მათ სწავლას თავი და რამდენად განსხვავდება არაქართულენოვან სტუდენტებში სწავლის დანებების მაჩვენებელი ქართულენოვან სტუდენტებში ანალოგიური მაჩვენებლისგან, მაგრამ არსებობს მოსაზრება რომ არაქართულენოვანებში სწავლის შეწყვეტის მთავარი მიზეზი არის საბაკალავრო საფეხურზე ქართულად სწავლის სირთულეები.

ქართულ ენაში მომზადების დიფერენცირებული სწავლების მიდგომა უნდა აისახოს პროგრამების აკრედიტაციისას.

გამოითქვა მოსაზრება, რომ ბაკალავრიატზე სწავლების პირველ წელს 1+4 პროგრამის სტუდენტებისთვის შესაძლებელია დაემატოს ქართული ენის სწავლების კურსი, რომელიც დაეხმარება მათ, უშუალოდ არჩეულ ფაკულტეტზე, სავალდებულო საგნების სწავლაში (ტერმინოლოგია).

ქართული ენის ცოდნის შეფასების უნიფიცირებული სისტემის შექმნა

კვლევაში მონაწილე ყველა მხარე თანხმდება იმაზე, რომ აუცილებელია შეიქმნას ქართული ენის ცოდნის შეფასების უნიფიცირებული სისტემა, რომელსაც ყველა უნივერსიტეტი გამოიყენებს. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტებს აქვთ ლექტორების ჯგუფის მიერ შედგენილი ტესტები, რომლის მიზანია დაადგინოს ქართული ენის ფლობის დონე, ეს სისტემა არ არის უნიფიცირებული და აღიარებული სახელმწიფოს მიერ.

არსებობს მოსაზრება, რომ ზოგადი უნარების ტესტის გარდა, პროგრამის ბენეფიციარებმა ჩააბარონ ქართული ენის, როგორც

მეორე ენის უნიფიცირებული გამოცდა, რომელსაც არ ექნება გავლენა ჩარიცხვაზე. გამოცდის შედეგები დაეხმარება უნივერსიტეტებს დაადგინონ, რა ენობრივი კომპეტენციებით შემოდიან არაქართულენოვანი სტუდენტები მოსამზადებელ პროგრამაზე და შეიმუშაონ თითოეული დონისთვის მორგებული სასწავლო პროგრამები. შესაძლოა, ნულოვანი ცოდნის მქონე სტუდენტებისთვის დამატებითი წინარე პროგრამა შემუშავდეს (მაგ.: საზაფხულო პროგრამის სახით). ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ქართულ ენაში სავალდებულო გამოცდის დაწესება გახდება მოტივატორი აბიტურიენტებისთვის, რომ უკეთესად მომზადებულები მოვიდნენ უნივერსიტეტში.

ექსპერტები საუბრობენ იმაზე, რომ საჭიროა დადგინდეს ქართული ენის ცოდნის ის მინიმალური სტანდარტი, რომელიც აუცილებელია დააკმაყოფილოს პირველი მოსამზადებელი წლის კურსდამთავრებულმა, რათა გადავიდეს ბაკალავრიატის საფეხურზე. რეალობაში შესაძლებელია სტუდენტმა პირველი წლის განმავლობაში მიიღოს 60 კრედიტი, მაგრამ ეს ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მას აქვს საკმარისი ენობრივი კომპეტენცია სწავლის ბაკალავრიატზე გასაგრძელებლად. თუ იარსებებს ეს სტანდარტი და პირველი კურსის დასრულების შემდეგ აღმოჩნდება, რომ სტუდენტმა ვერ დააკმაყოფილა ბაკალავრიატში სწავლის გაგრძელებისთვის საჭირო მინიმალური დონე, უმჯობესია, მას მოსამზადებლად დამატებით ერთი წელის სწავლის შესაძლებლობა მიეცეს.

ქართული ენის ცოდნის ოფიციალურად დამადასტურებელი ინსტრუმენტის შექმნა ამ პროგრამის მიღმაც სასარგებლო იქნება (საჯარო სამსახურში მიღება, მოქალაქეობის მიღება). მოქალაქეობის მიღების კონტექსტში ტესტირების შემოღების მცდელობა აქვს იუსტიციის სამინისტროს, მაგრამ ექსპერტების აზრით, ეს არ არის სამეცნიერო / აკადემიური პროდუქტი. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ შესაძლებელია ეს ფუნქცია აიღოს გამოცდებისა და შეფასების ცენტრმა, უნივერსიტეტებმა, სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა.

ქართულ ენაში მომზადების პროგრამის აკრედიტაცია

უნივერსიტეტებს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ხელახალი აკრედიტაცია უწევთ 2018 წელს. ექსპერტების აზრით, აკრედიტაციის პროცესი არის ხისტი და მი-

მართულია ტექნიკური პარამეტრების შემოწმებაზე. ამიტომ ნოვატორული და დიფერენცირებული სწავლების მიდგომის მორგება აკრედიტაციის მოთხოვნებზე რთულდება. ექსპერტები თვლიან, რომ უნივერსიტეტებმა მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინონ, რომ ახალი პროგრამები იყოს დიფერენცირებული და სტუდენტების სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული. შესაძლებელია, საჭირო გახდეს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განსხვავებული წესის შემოღება, რაც განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის შიდა ბრძანებით შეიძლება დარეგულირდეს.

საშეღავათო პოლიტიკის გაგრძელების აუცილებლობა


2009 წელს საშეღავათო პოლიტიკის 10 წლით განსაზღვრა განპირობებული იყო იმით, რომ 2018-2019 სასწავლო წელს ის მოსწავლეები, რომლებიც ზოგადი განათლების სფეროში დაწყებული რეფორმის დაწყებისას პირველ კლასში სწავლობდნენ, უკვე დაამთავრებდნენ სკოლას. თუ რეფორმა წარმატებით განხორციელდებოდა, შემდეგ წლებში დამთავრებულებს აღარ უნდა დასჭირვებოდათ კვოტირება და არაქართულენოვანი სკოლადამთავრებულებს კარგად უნდა სცოდნოდათ ქართული ენა. თუმცა, ზოგადი განათლების რეფორმაში არსებული ხარვეზების გამო, არაქართულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულების ქართული ენის ცოდნა არ არის საკმარისი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გასაგრძელებლად. ამიტომ, ამ ეტაპზე ექსპერტები აუცილებლად თვლიან საშეღავათო პოლიტიკის გაგრძელების, თუმცა, აღნიშნავენ, რომ კვოტირების სისტემა არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს და არაქართულენოვან სკოლებში სწავლის დონე უნდა დაეწიოს ქართულენოვან სკოლებში სწავლის დონეს.

თავი 6. სტუდენტების ანკეტირებისა და ფოკუს ჯგუფების შედეგები

ბლოკი I - ინფორმირებულობა


გამოკითხულთა უმეტესობამ ინფორმაცია განათლების საშუალო პოლიტიკით მიღების შესაძლებლობის შესახებ სკოლის მასწავლებლისგან მიიღო. ყველაზე ნაკლებად სტუდენტები ინფორმაციას იღებენ რეინტეგრაციის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან.

დიაგრამა 9. პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები



ოდნავ განსხვავდება შედეგები ილიას უნივერსიტეტში და ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელობის უნივერსიტეტში გამოკითხული სტუდენტების პასუხებს შორის. ილიას უნივერსიტეტის მოსამზადებელი ჯგუფისა და ბაკალავრიატის სტუდენტების უფრო მეტი რაოდენობა აფიქსირებს პასუხს, რომ ინფორმაცია მან მიიღო სკოლის დირექტორისგან, ახლობლისგან და სკოლის სხვა მასწავლებლისგან (ქართული ენის მასწავლებლის გარდა).

დიაგრამა 10. პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები, უნივერსიტეტების შედარება



ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა პასუხები იმეორებს რაოდენობრივი კვლევისას მიღებულ შედეგებს. მონაწილეების უმეტესობა აფიქსირებს, რომ ინფორმაცია პროგრამის შესახებ მიიღო სკოლის ქართული ენის მასწავლებლისგან, რომელიმე საგნის მასწავლებლის ან სკოლის დირექტორისგან. თუ რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, ინფორმაციის მეორე წყარო ინტერნეტია, ფოკუს-ჯგუფებში ინფორმაციის წყაროდ მეტად დასახელდა ის მეგობარი/ნაცნობი, ვისაც უკვე ჰქონდა პროგრამაში მონაწილეობის გამოცდილება. იყო ამ პროგრამის სტუდენტი, ან კურსდამთავრებული.

“მე ქართულის მასწავლებელმა მითხრა ამის შესახებ, თუმცა, რომ ჩავაბარე მხოლოდ სახელი ვიცოდი, მეტი არაფერი. ასევე ვიცოდი, რომ 4+1 პროგრამა ყველაზე კარგი ილიაუნიში იყო.”

“მეც მყავდა მეგობრები, რომლებიც სწავლობდნენ ამ პროგრამით. უფრო მეტი ინტერნეტის საშუალებით გავიგე, ბევრი საიტი არსებობს. ნავიკითხე, დამაინტერესა და ჩავაბარე”

“მე მაღალი კურსის სტუდენტებმა მითხრეს ამის შესახებ, ასევე ჩემი კლასელების უმრავლესობა აქ მოვიდა.”

“მე არ ვიცოდი ამ პროგრამის შესახებ, უბრალოდ, ქართული ენა სახელმწიფო ენაა და აუცილებელია ვისწავლოთ ქართული. მე დამეხმარა ვალანტორი”


„ჩვენთან არის ამ პროგრამით ჩამოსული მასწავლებელი ქართველი ნატო კაპანაძე, მისგან გავიგე, რომ ეთნიკურ უმცირესობებს შეუძლიათ ჩააბარონ სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიარონ ერთ წლიანი მოსამზადებელი კურსი და შემდეგ შეუძლიათ უპრობლემოდ ჩააბარონ ბაკალავრიატში და შემდეგ მისი დახმარებით დავრეგისტრირდი ამ პროგრამაში“

1-5-მდე აღმავალ შკალაზე, რესპონდენტებმა პროგრამის შესახებ საკუთარი ინფორმირებულობის ხარისხი 2,5 ქულით შეაფასეს. ინფორმირებულობის ხარისხის საშუალო მაჩვენებლები, ოდნავ განსხვავება უნივერსიტეტების მიხედვით, თუმცა, განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.

დიაგრამაზე წარმოდგენილია ინფორმირებულობის თვითშეფასების პროცენტული განაწილება, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოადგენს თვითშეფასების ქულას. განათლების საშეღავათო პოლიტიკით მიღების შესაძლებლობის შესახებ საკუთარი ინფორმირებულობის ხარისხის გარდა, რესპონდენტები აფასებდნენ მათ თემში მცხოვრები სხვა აბიტურიენტების ინფორმირებულობის ხარისხს ამავე საკითხის მიმართ. ამ შემთხვევაში ინფორმირებულობის ხარისხი უფრო დაბალი, 2.2 ქულით შეფასდა.

ანალოგიური პასუხები დაფიქსირდა ფოკუს-ჯგუფებზეც. მონაწილეთა მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, ზოგადად, დაბალია ინფორმირებულობა განათლების საშეღავათო პოლიტიკით მიღების

დიაგრამა 11. განათლების საშეღავათო პოლიტიკით მიღების შესაძლებლობის შესახებ ინფორმირებულობის ხარისხის შეფასება



შესაძლებლობის შესახებ. იმ სკოლებში, სადაც არ ჰყავთ ქართული ენის „კარგი“ მასწავლებელი, მონდომებული დირექტორი, სადაც არ ცხოვრობენ ამ პროგრამით მოსარგებლე სტუდენტები, პრაქტიკულად არ იციან ამ შესაძლებლობის შესახებ.

„არის სოფლები, სადაც საერთოდ არ იციან ამის შესახებ. ნინომინდაში არის სოფლები, სადაც ამ 1+4 პროგრამის შესახებ იციან, თუმცა ჰგონიათ, რომ ეს მხოლოდ ჯავახიშვილის უნივერსიტეტშია და არ შეუძლიათ სხვაგან ჩაბარება.“

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ არაინფორმირებულობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ეთნიკური უმცირესობები არ უყურებენ ქართულ არხებს და, შესაბამისად, არ აქვთ ინფორმაცია. ანუ მხოლოდ რაოდენობრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ცალსახად ვერ ვიტყვით, რომ განათლების საშეღავათო პოლიტიკით მიღების შესაძლებლობის შესახებ ტელევიზიით ინფორმაცია არ ვრცელდება მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის წყაროების ჩამონათვალში ტელევიზია, ბოლოდან მეხუთე ადგილს იკავებს, ფოკუს-ჯგუფზე გამოთქმული მოსაზრებები მიხედვით, ადგილობრივი მოსახლეობა უბრალოდ არ უყურებს ქართულ სატელევიზიო არხებს და შესაბამისად ინფორმაციას ამ საკითხის შესახებაც ვერ მოისმენდა ან/და ნახავდა.

„ტელევიზიას უფრო თურქულ და რუსულ არხებს უყურებენ, ადრე უფრო უყურებდნენ ქართულ არხებს და სერიალებს, ახლა რაც უკვე არის შესაძლებლობა უყურონ თურქულ არ-

ხებს, თითქმის აღარავინ რთავს ტელევიზორს ქართულ გადაცემებზე“

თუმცა ყველა ფოკუს-ჯგუფზე გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ წინა წლებთან შედარებით ახლა ბევრად მეტმა ახალგაზრდამ იცის ამ პროგრამის შესახებ.

„მე ნინოწმინდიდან ვარ და ჩემი სოფლიდან პირველი ვიყავი, ვინც ჩააბარა ილიაში. დღეს მაინც ბევრმა არ იცის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ, ინფორმაციის ნაკლებობა მაინც არის.“

„თუ თბილისში 5 წლის წინ 10-დან ორი ბავშვი სწავლობდა დღეს 10-დან 5 თბილისში სწავლობს ხოლო 5 ერევანში“

„ჩვენთან ადრე ამერბაიჯანში მიდიოდნენ სასწავლებლად, მაგრამ ეხლა ყველა თბილისში მოდის“

„თუმცა, მე რომ ვაბარებდი, უფრო ბევრი ბავშვი მიდიოდა სომხეთში, ვიდრე ახლა. რადგან ახლა უფრო პოპულარული გახდა, რომ აქ ვისწავლოთ და აქ ვნახოთ ჩვენი გზა“


პროფესიული ორიენტაცია

კვლევა მიზნად ისახავდა დაგვედგინა, რატომ აირჩიეს რეს-პონდენტებმა უნივერსიტეტი, სადაც სწავლობენ. როგორც ცნობილია, კონკურენცია დაბალია რეგიონის უნივერსიტეტებში თბილისის უნივერსიტეტებთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რომ მაგალითად სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში ჩაბარების შემთხვევაში, სტუდენტებს სამცხე-ჯავახეთიდან, ნაკლები ხარჯი ეწეებათ. ფოკუს-ჯგუფის ის მონაწილეები, რომლებიც სწავლობდნენ ილიაუნი-სა და თსუ-ში, საკუთარი გადაწყვეტილების მოტივებზე დეტალურად განათლების მიღებასა და ამ კონკრეტულ უნივერსიტეტებში სწავლების მაღალ ხარისხს ასახელებენ. ახალციხის უნივერსიტეტში კი ძირითადად საცხოვრებელთან სიახლოვეს.

რაოდენობრივი კვლევიდანაც ნათლად ჩანს, რომ გადაწყვეტილების მოტივებზე უნივერსიტეტში სწავლების ხარისხი და პრესტიჟულობა, ორივე უნივერსიტეტში გამოკითხულმა ჯგუფმა დაახლოებით თანაბრად დაასახელა. მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები მეტად ცდილობენ ინფორმაცია გაავრცელონ საკუთარ თემში და ძირითადი საინფორ-

მაციო მესიჯი ქართული ენის ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფაა.

დიაგრამა 12. უნივერსიტეტის არჩევის მოტივაცია



ფოკუს ჯგუფზე გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით, ბუნებრივად იკვეთება უნივერსიტეტის მიმართ სტუდენტების ლოიალობა. რაოდენობრივი კვლევის შედეგები გაიმეორა თვისებრივი კვლევის შედეგებმა.

თსუ-ს სტუდენტებმა უნივერსიტეტის არჩევანის ძირითად მოტივებზე დაასახელეს უნივერსიტეტის პრესტიჟულობა, მისი პირველობა; ის, რომ ჯავახიშვილი „ნამდვილი უნივერსიტეტია“; ასევე აღნიშნეს, რომ მათი მშობლებისთვისაც თსუ ასოცირდება ცოდნის მაღალ ხარისხთან და ა.შ. თუმცა ის განსხვავება, რაც წარმოდგენილია დიაგრამაზე #5, თსუ-ს ჯგუფშიც გამოიკვეთა. მათი მსჯელობა შეიცავდა იმ შინაარსს რომ: „ჩვენ გვქონდა ინფორმაცია ილიას უნივერსიტეტის შესახებაც, ვიცოდით რომ ქართული ენის პროგრამა უფრო უკეთესიც არის ვიდრე ჩვენთან,


მაგრამ შემდეგ სწავლა თსუ-ში სჭობია და თსუ-ს დიპლომს მეტი ძალა აქვს“

როდესაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები უნივერსიტეტის არჩევის საკუთარ მოტივაციაზე საუბრობდნენ, მრავალჯერ ახსენეს ქართული ენის პროგრამის ეფექტურობა. მათ მოიყვანეს მაგალითები, რომ ილიაუნის სტუდენტებმა, რომლებმაც საერთოდ არ იცოდნენ ენა, კარგად დაძლიეს პროგრამა და მათაც ჰქონდათ იმედი, რომ „ენას გააუმჯობესებდნენ.“ ილიაუნის მონაწილე სტუდენტები თვლიან, რომ ქართული ენის პროგრამა უკეთესი აქვთ და მათი უნარები ენაში ბევრად უკეთესი იქნება, ვიდრე იმ შემთხვევაში თუ ჩააბარებდნენ სხვა უნივერსიტეტში.

როდესაც ვესაუბრეთ რეგიონის უნივერსიტეტების არჩევანის შესაძლებლობაზე, თბილისის უნივერსიტეტების სტუდენტებმა, ცალსახად აღნიშნეს, რომ სწავლა თბილისში უკეთესი ხარისხისაა და შემდგომი დასაქმების შანსიც მეტი აქვთ, ვიდრე რეგიონის უნივერსიტეტის დამთავრების შემთხვევაში.

რესპონდენტთა უმეტესობა პროფესიას საკუთარი გადანყვეტილებით ირჩევს და კითხვაზე „რატომ აირჩიეთ თქვენი პროფესია?“ გვპასუხობს, რომ არჩეულ პროფესიაზე ბავშვობიდან ოცნებობდა. მეორე ადგილასაა დასაქმების პერსპექტივა და პროფესიის პრესტიჟულობა.⁵

დიაგრამა 13. პროფესიის არჩევანის მოტივაცია



5 კვლევა არ ითვალისწინებდა კონკრეტული პროფესიის იდენტიფიკაციას, რადგან შერჩევის მოცულობა არ მოგვცემდა საშუალებას დაგვეთვალა მონაცემები პროფესიის ჭრილში.

როგორც ილიაუნის, ასევე თსუ-ს სტუდენტების პასუხები აღნიშნულ კითხვაზე დაახლოებით ერთნაირია. ჯგუფებს შორის განსხვავება არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, ამიტომ არ წარმოვადგინეთ მონაცემები ცალ-ცალკე.

ფოკუს-ჯგუფების მონაცემები რაოდენობრივი კვლევის იდენტურია. მონაწილეთა უმეტესობა ამბობს, რომ მას პროფესია ბავშვობიდან აქვს არჩეული. თსუ-ში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფზე უფრო მეტად დასახელდა პროფესიის არჩევის მოტივაციად დასაქმების შესაძლებლობები, განსაკუთრებით იმ მონაწილეთა პასუხებში, რომელიც მულტილინგვური სწავლების პროგრამის სტუდენტები იყვნენ. ისინი დარწმუნებული არიან, რომ უნივერსიტეტის დასრულების მერე სამუშაო ადგილი სკოლებში გარანტირებული აქვთ.

„ჩვენ გველოდებიან ჩვენი სოფლის სკოლები, რომ ჩავალთ და დავიწყებს იქ მუშაობას, ადგილი გამზადებული გვაქვს“


მოსამზადებელი კურსის სტუდენტები უფრო დარწმუნებულები არიან პროფესიის არჩევანის სისწორეში, ვიდრე ბაკალავრიატის სტუდენტები. რასაც იმით ხსნიან, რომ ბაკალავრიატში უკვე უშუალო შეხება აქვთ პროფესიასთან, მეტი ინფორმაცია აქვთ სამომავლო დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. თუმცა, კითხვაზე, გეგმავენ თუ არა პროფესიის შეცვლას, ფოკუს-ჯგუფის არც ერთი მონაწილემ არ უპასუხა, რომ გეგმავს. აღსანიშნავია, რომ ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები სამომავლო დასაქმებას არ უკავშირებენ ადგილობრივ თვითმმართველობას, მათი აზრით, მეტი შანსი აქვთ ბანკში, სკოლაში, ადგილობრივ ბიზნესში, საავადმყოფოში, პოლიციაში დაინყონ მუშაობა, ვიდრე ადგილობრივ თვითმმართველობაში.

ზოგადად, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები, როგორც ბაკალავრიატის, ასევე მოსამზადებელი ჯგუფებიდან, თვლიან, რომ ქართული ენის პროგრამა რომ არა, გაუჭირდებოდათ ადაპტაცია საუნივერსიტეტო სივრცეში. მათთვის აუცილებელია ის სერვისი და დახმარება, რასაც ქართული ენის პროგრამის ლექტორები და მენეჯმენტი აწვდის.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ პროგრამა შეეფასებინათ რამდენიმე კომპონენტის მიხედვით. საერთო ჯამში, 1-დან 5-მდე აღმავალ სკალაზე ყველა კომპონენტის გასაშუალოებული ქულა 3.8-ია. საერთო

ქულა, უნივერსიტეტების მიხედვით არ განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა, ცალკეული კომპონენტის მიხედვით, განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

დიაგრამა 14. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება




როგორც დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო სასწავლო პროგრამამ (4.1 ქულა), ლექტორების დამოკიდებულებამ სტუდენტების მიმართ (4.2 ქულა) და ლექტორების კვალიფიკაციამ (4.2 ქულა). მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ საშუალოზე მაღალი შეფასება მიიღო პროგრამის ყველა კომპონენტმა. თსუ-სა და ილიაუნის რესპონდენტთა პასუხებში განსხვავება დაფიქსირდა ორი კომპონენტის შეფასებისას - კერძოდ კი, სასწავლო მასალისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ურთიერთობის კომპონენტში.

როგორც პასუხებიდან იკვეთება, რესპონდენტთა 43.2 % თვლის, რომ ქართული ენის პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტს შეუძლია სრულყოფილად ჩაერთოს სტუდენტურ ცხოვრებაში და სრულფასოვნად განაგრძოს სწავლა ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამაზე.

დიაგრამაზე მონაცემები წარმოვადგინეთ პროცენტული სახით, რაც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც ქართული ენის პროგრამას უარყოფით შეფასებას აძლევს. ჯამში ასეთი რესპონდენტების პროცენტული მნიშვნელობა არ აღემატება 20%-ს. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ გამოკითხულთა 38,6%-თვის ქართული ენის პროგრამა ეფექტურია მხოლოდ მათთვის, ვისაც ქართული ენის საბაკალავრო ცოდნა აქვს.

დიაგრამა 15. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება



შედეგები დაადასტურა ფოკუს-ჯგუფებზე გამოთქმულმა მოსაზრებებმაც. ფოკუს-ჯგუფებზე კიდევ უფრო გახსნილად ისაუბრეს იმაზე, რომ ქართული ენის საბაკალავრო ცოდნის გარეშე ერთნაირი პროგრამა არ არის ეფექტური ბაკალავრიატში სწავლის დაძლევისთვის. ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეთა აზრით, თუ ქართულ ენაში საბაკალავრო ცოდნა არა აქვს აბიტურენტს, ერთი წელი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სწავლა გააგრძელოს. არის შემთხვევები, როდესაც ამ ხარვეზის გამო სტუდენტი ანებებს სწავლას თავს და შემდეგ წელს ხელახლა გადის ქართული ენის კურსს. აქვე გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებაც, რომ თუ ქართული ენის ცოდნა ეთნიკური უმცირესობის ენაზე სკოლადამთავრებულ მოსწავლეს მაღალი აქვს, არ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ისარგებლოს ამ პროგრამა-


მით. ამის მიზეზად სახელდება ის, რომ 1) იგი კონკურენციას უწევს იმ აბიტურიენტებს, რომელსაც ნამდვილად სჭირდება ქართული ენის კურსი და 2) ერთ წელს კარგავს სტუდენტი ქართული ენის მოსამზადებელ პროგრამაში, როცა შეუძლია ჩააბაროს ეროვნული გამოცდები და გახდეს სტუდენტი.

საუბარი შეეხო ასევე სკოლაში მიღებულ ზოგად განათლებას. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა აზრით, მთავარი პრობლემა არა ქართული ენის გაძლიერებული სწავლების პროექტის დიზაინში, არამედ უმცირესობების სკოლების განათლების ხარისხშია. მონაწილეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით, სკოლების მათ ვერ აძლევენ ცოდნას, არა მარტო სახელმწიფო ენის, არამედ სხვა საგნების მიმართულებითაც. დაბალ დონეზე ისწავლება ყველა საგანი, ქართული ენა კარგადაც რომ იცოდეს აბიტურიენტმა, შეიძლება ეროვნული გამოცდები ვერც ჩააბაროს.

ასევე დაისვა საკითხი სომხურენოვანი გამოცდის ჩაბარებასთან დაკავშირებით. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა, საუბრობს დიალექტზე, რომელიც საფუძვლიანად განსხვავდება იმ ენისგან, რომელზეც ისინი აბარებენ უნარების გამოცდას. ამ პრობლემის მოსაგვარებლად არ არის საკმარისი ცოდნა, რომელსაც იღებენ სომხურენოვანი სკოლის მოსწავლეები სკოლაში მშობლიური ენის გაკვეთილებზე და ამიტომაც უწევთ რეპეტიტორებთან მომზადება სომხურში. მათი აზრით, გამოსავალი იქნებოდა უნარების ტესტის რუსულ ენაზე ჩაბარების შესაძლებლობა, რადგან თვლიან, რომ რუსული ეთნიკურად სომეხმა აბიტურიენტებმა უკეთ იციან, ვიდრე მშობლიური (სომხური) ენა.


საერთო ჯამში, რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობა (>50%) თვლის, რომ ქართული ენის პროგრამის გავლის შემდეგ შეუძლიათ: აკადემიური ლიტერატურის წაკითხვა და გაანალიზება; მათ შეუძლიათ თავისუფლად ჩაერთონ დისკუსიაში/განხილვაში ლექციის პროცესში, კარგად ისაუბრონ, თავისუფლად წერონ. უმეტესობას ქართული ენის პროგრამა დაეხმარა ინტეგრაციის პროცესში.

დიაგრამა 16. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების შეფასება სტუდენტების მიერ




რესპონდენტები აფასებდნენ ქართული ენის ცოდნის დონეს. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში მათ ვთხოვდით ქართული ენის ცოდნის დონე შეფასებინათ, როგორც ამ პროგრამაში მონაწილეობამდე, ასევე პროგრამის გავლის შემდეგ. დიაგრამაზე წარმოდგენილია ქართული ენის ცოდნის თვითშეფასება, სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით, 5 ბალიან აღმავალ სკალაზე. როგორც შედეგებიდან ჩანს, რესპონდენტები თვლიან, რომ პროგრამის გავლენა, ენის უნარების გაძლიერებაზე, მაღალია.

დიაგრამა 17. ქართული ენის ცოდნის თვითშეფასება (5 ქულიან სკალაზე) პროგრამის დაწყებამდე და შემდეგ



მთლიანობაში, რესპონდენტთა 66,1% პასუხობს, რომ ქართული ენის პროგრამამ მათი მოლოდინები გაამართლა, მხოლოდ 6,8% პასუხობს, რომ ქართული ენის პროგრამამ არ გაუმართლა მოლოდინები.

დიაგრამა 18. ქართული ენის პროგრამის მიმართ მოლოდინების შეფასება



რაოდენობრივი კვლევის შედეგების ანალოგიურია ფოკუს-ჯგუფებზე გამოთქმული მოსაზრებებიც:

„A1 დონეზე ვიყავი და არაფერი არ ვიცოდი რეალურად.“

„თუნდაც ვიღაცამ საუბარი კარგად იცოდეს, ეს არ ნიშნავს რომ ქართული კარგად იცის. მთავარია გრამატიკა იცოდეს, ეს არის ენის კარგად ცოდნა. ჩვენც ესე ვიყავით ქართული ვიცოდით, მაგრამ გრამატიკულად ვერ ვსაუბრობდით. უფრო კარგად ვისწავლეთ გრამატიკა.“

„მოსამზადებელზე რომ ვიყავი, მიჭირდა მოსმენა. რაღაც ვიდეოებს ვნახულობდით და იმის მიხედვით უნდა დაგვეწერა რაღაც ტესტები. მიჭირდა გაგება.“


„მე რომ მოვედი, მხოლოდ გამარჯობა ვიცოდი, მეტი არაფერი. თავიდან ვაპირებდი სომხეთში სწავლას, ამიტომ ქართულ ენას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი. ბოლო წელს გადავწყვიტე, რომ აქ უნდა ჩამებარებინა. ასევე გავიგე ილიაუნის შესახებ, რომ აქაც არის 1+4 პროგრამა და ძალიან კარგად ასწავლიან. თავიდან მიჭირდა საუბარიც, მოსმენაც, წაკითხვაც და ზოგადად ყველაფერი. ახლა არც ისე...“

რესპონდენტთა თითქმის მესამედი თვლის, რომ 60 კრედიტის

აღება, რომელიც აუცილებელია ბაკალავრიატში სწავლის გასაგრძელებლად რთული, ან ძალიან რთულია. გამოკითხულთა მხოლოდ 21,7%-სთვის არის მარტივი.

განსხვავება ჯგუფებში მნიშვნელოვანია. ილიაუნის სტუდენტები უფრო მეტად თვლიან, რომ 60 კრედიტის მიღება ბაკალავრიატზე გადასასვლელად უფრო რთულია, ვიდრე თსუ-ს სტუდენტები. საერთო ჯამში, ილიაუნის სტუდენტების 45,1% აფასებს წინასაბაკალავრო ქართული ენის პროგრამას, როგორც ძალიან რთულსა და რთულს, ხოლო იგივე შეფასება თსუ-ს სტუდენტების მხოლოდ 18,6%-მა დააფიქსირა.

დიაგრამა 19. რამდენად მარტივია ბაკალავრიატში სწავლის გასაგრძელებლად საჭირო კრედიტების დაგროვება, სტუდენტების შეფასებები უნივერსიტეტების მიხედვით




60 კრედიტის მიღების სირთულის შეფასების რაოდენობრივ მონაცემებს იმეორებს თვისებრივი კვლევის შედეგებიც. ილიაუნის სტუდენტების და მოსამზადებელი ჯგუფის აბიტურიენტების აზრით, სწავლა რთულია და მათ დიდი ძალისხმევა უწევთ პროგრამის დასაძლევად. თსუ-ში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა პასუხების მიხედვით კი, 60 კრედიტის მიღება არ არის ძალიან რთული, მაგრამ რთულია შემდგომ სწავლა ბაკალავრიატზე.

რაოდენობრივი კვლევის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა, სტუდენტებისა და ქართული ენის პროგრამით მოსარგებლე აბიტურიენტების, ინტეგრაციის ხარისხის შესწავლა. ამ მიზნით რესპონდენტებს ვეკითხებოდით, ჩართული იყვნენ თუ არა რაი-

მე სახის საინტეგრაციო პროგრამაში და რა გავლენა იქონია ამ პროგრამამ.


როგორც კვლევამ აჩვენა, გამოკითხულთა 39,5% ჩართული იყო ახალგაზრდობის ცენტრის „PITA“-ს საქმიანობაში, 15,7% - ტუტორების სკოლის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებში, ხოლო 23,8%-ს არ აქვს ინფორმაცია ასეთი აქტივობის შესახებ.

დიაგრამა 20. ინტეგრაციულ პროგრამებში მონაწილეობა




განსხვავებული პასუხები გვაქვს უნივერსიტეტების მიხედვით, ილიაუნის სტუდენტები მეტად არიან ჩართულები (47,5%) საინტეგრაციო პროგრამებში და თსუ-ს სტუდენტების მეტი ნაწილია არაინფორმირებული ასეთი პროგრამების არსებობის შესახებ (32,4%).

დიაგრამა 21. ინტეგრაციულ პროგრამებში მონაწილეობა უნივერსიტეტების მიხედვით



მათ შორისაც, ვინც ჩართულია რამე სახის ინტეგრაციულ პროგრამაში, ყველაზე ხშირად ასახელებენ, რომ ინტეგრაციის პროგრამაში ჩართვის შედეგად მეტი მეგობარი ჰყავთ სხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფებიდან, რომ გაიზარდა მათი ცოდნა ქართულ ენაში და ინტეგრაციის პროგრამაში ჩართვამ გაუუმჯობესა კომუნიკაციის უნარები. ისინი ასევე მიიჩნევენ, რომ ინტეგრაციის პროგრამაში ჩართვამ გაზარდა მათი სწავლის მოტივაცია.

დიაგრამა 22. ინტეგრაციის პროგრამების გავლენა



ფოკუს-ჯგუფებზე გამოთქმულმა მოსაზრებებმა დაადასტურა რაოდენობრივი კვლევის შედეგები. ქართული ენის პროგრამით მოსარგებლები და ბაკალავრიატის სტუდენტები თვლიან, რომ ინტეგრაციის მიმართულებით განხორციელებული პროექტები, პირველ რიგში, ხელს უწყობს მათ ქართულ და სხვა ეთნიკური ჯგუფებთან დამეგობრებას. გამოითქვა მოსაზრება, რომ სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ურთიერთობით, ისინი, პირველ რიგში, ქართული ენის უნარებს აძლიერებენ. ჯგუფების განაწილების განსხვავებული პრაქტიკა არსებობს უნივერსიტეტების მიხედვით. ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ქართული ენის პროგრამის პირველ სემესტრში, სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტები ცალ-ცალკე ჯგუფებში არიან. ილიაუნში თავიდანვე ერთად სწავლობენ. თსუ-ს სტუდენტების ფოკუს-ჯგუფზე აღინიშნა, რომ კარგი იქნებოდა ერთად ესწავლათ თავიდანვე, რადგან ერთმანეთის ენა არ იციან და შესაბამისად ქართულად ისაუბრებდნენ, რაც გააუმჯობესებდა მათ საკომუნიკაციო უნარებს ქართულ ენაში. ილიაუნის სტუდენტები დადებითად აღასებენ იმ ფაქტს, რომ ერთად სწავლობენ და ქართულ ენაზე უწევთ კომუნიკაცია.

„პირველივე კურსიდან იყოს შერეული ჯგუფები, ურთიერთობაში და კომუნიკაციაში ქართულად ვილაპარაკებდით და მეტი ქართული გარემო“

„კომუნიკაციას და ლაპარაკს აქვს დიდი მნიშვნელობა, უნდა იყოს რაიმე სახის პროექტები სადაც იქნებიან სომეხები, აზერები და ქართველები (არააკადემიური გარემო)“

თსუ-ში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფებზე გამოიკვეთა, რომ მიუხედავად მოსამზადებელი პროგრამის მენეჯმენტის აქტიური დახმარებისა, ერთ კორპუსში ყოფნის გამო, უმეტესობისთვის არ არის ცნობილი მთლიანად უნივერსიტეტებში ჩატარებული სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ კულტურული ღონისძიების შესახებ. მართალია უნივერსიტეტების ვებ-გვერდებზე იდება ინფორმაცია, მაგრამ მონაწილეთა აზრით, დამატებით კიდევ საჭიროა ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმაციის პროაქტიულად მიწოდება. მათ უჭირთ სრულფასოვნად ჩაერთონ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, რაც მათ იზოლაციას უწყობს ხელს.

„რამდენიმე დღის წინ ვიყავით ინტელექტუალურ თამაშებზე, მაგრამ ეს თამაშები მხოლოდ მოსამზადებლის ბავშვები იყვნენ „

„დავდივართ ხოლმე პრესკონფერენციებზე ბატონ კახასთან ერთად, მაგრამ მაინც მეტი ინფორმაცია გვჭირდება“

ყველა ჯგუფზე გამოითქვა სურვილი იმის შესახებ, რომ მეტი ღონისძიებები ტარდებოდეს, სადაც ქართველებიც და სხვა ეთნიკური ჯგუფების წამომადგენლები იქნებიან. ეს გააუმჯობესებს მათ შესაძლებლობებს საუნივერსიტეტო სივრცეში და ზოგადად, უფრო ინტეგრირებულები იქნებიან.

განსაკუთრებულად აღინიშნა ტუტორიუმის პროგრამა. გამოითქვა აზრი, რომ ტუტორები მათ ეხმარებიან სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საკითხის მოგვარებაში.

„ხშირად გვცხმარებიან, მაგალითად, არ ვიცოდი, რომ პირადობის მონმობაზე შეიძლებოდა სტუდენტის სტატუსის დაწერა და ამაში დამეხმარა ჩემი ტუტორი, დაგვეხმარა ბიბლიოთეკაში შესვლის ბარათის აღებაში ასევე სტუდენტის დაზღვევის აღებაში დამეხმარა“

ფოკუს-ჯგუფის ყველა მონაწილე დადებითად ახასიათებს აღნიშნულ პროექტს და ფიქრობს, რომ ინტეგრაციისთვის საუკეთესო საშუალებაა.

თავი 7 რეკომენდაციები საშელავათო პოლიტიკის გაგრძელებასთან დაკავშირებით

1. საშელავათო პოლიტიკის გაგრძელების აუცილებლობა

არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლების დონე კვლავ ძალიან დაბალია და ამ სკოლების კურსდამთავრებული აბიტურიენტები დამატებითი მომზადების გარეშე, ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბარებისას, ვერ გაუწევენ კონკურენციას ქართულენოვან აბიტურიენტებს. ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საშელავათო პოლიტიკის გაგრძელება.

2. ქართული ენის ცოდნის განმსაზღვრელი უნიფიცირებული ტესტების დანერგვა

ქართული ენის ცოდნის განმსაზღვრელი უნიფიცირებული ტესტების შემუშავება და მათი გამოყენება ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე სწავლების დაწყებამდე და დასრულების შემდეგ მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების შეფასება ერთნაირი სირთულის ტესტებით. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, შეფასდეს ქართული ენის ცოდნის კუთხით მიღწეული შედეგი პროგრამის ფარგლებში; შედარდეს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებები, წლიდან წლამდე ქართული ენის ცოდნის ცვლილების დონე.

3. უნივერსიტეტების მიერ კვოტების გამოყოფის მოქნილი სისტემა

შესაძლოა დაინერგოს უნივერსიტეტების კვოტირების უფრო მოქნილი სისტემა, იმის მიხედვით თუ როგორია მოთხოვნა მათ უნივერსიტეტში სწავლაზე.

4. ქართულ ენაში მომზადების პროგრამის აკრედიტაციისას სავალდებულო გახდეს საინტეგრაციო კომპონენტის დამატება

ეთნიკური უმცირესობების ჩართვა ინტეგრაციისკენ მიმართულ ღონისძიებებში სწავლის პროცესში, ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურ გავლენას ახდენს ქართულ ენის სწავლის და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარების გაუმჯობესების

კუთხით. ამ ეტაპზე, სამოქალაქო ინტეგრაციის კომპონენტი არ არის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტი. პროგრამის ბენეფიციარების საინტეგრაციო აქტივობებში ჩართვას ხელს უწყობენ საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები. იმისათვის რომ საინტეგრაციო კომპონენტი გახდეს სავალდებულო, საჭიროა, ცვლილებები შევიდეს საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის წესში.

5. დიფერენცირებული სასწავლო პროგრამების შემოღება

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში ჩარიცხული სტუდენტების ქართული ენის ცოდნის დონე განსხვავებულია. შესაბამისად, ერთი და იმავე პროგრამით, ერთი და იმავე პერიოდის (1 წელი) განმავლობაში, შეუძლებელი ხდება იმ ენობრივი კომპეტენციის მიღწევა, რომელიც საჭიროა ბაკალავრიატზე სწავლის გასაგრძელებლად.

ამიტომ, მნიშვნელოვანია, შემუშავდეს და დაინერგოს ცოდნის სხვადასხვა დონეზე მყოფი სტუდენტების საჭიროებებზე მორგებული (შესაძლოა, სხვადასხვა ხანგრძლივობის) საგანმანათლებლო პროგრამები.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის არსებული წესი არ იძლევა შესაძლებლობას ერთი პროგრამის ფარგლებში დიფერენცირებული მიდგომების ან ქვეპროგრამების არსებობას. ამიტომ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში დიფერენცირებული მიდგომის შემოღებისთვის პროგრამის აკრედიტაციის წესში ცვლილებების შეტანა გახდება საჭირო.

6. ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად ქართულ ენის ცოდნის მინიმალური ზღვარის დაწესება

ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად ქართული ენის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის დასაწესება, ერთი მხრივ, გაზრდის სწავლის მოტივაციას სტუდენტებში და მეორე მხრივ, თავიდან აგვაცილებს ბაკალავრიატის საფეხურზე ისეთი სტუდენტების გადასვლას, რომელთა ქართული ენის ცოდნის დონეც არ არის საკმარისი ბაკალავრიატის საფეხურის დაძლევისთვის.

7. პროგრამის ბენეფიციარი კურსდამთავრებულების მხარდაჭერა სახელმწიფო სტრუქტურებში და სკოლებში მათი შემდგომი დასაქმების კუთხით

იმისათვის რომ მიღწეული იქნას საშეღავათო პოლიტიკის საბოლოო მიზანი, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის გაზრდა, მნიშვნელოვანია პროგრამის ბენეფიციარი კურსდამთავრებულების მხარდაჭერა მათი საჯარო სექტორში, არაქართულებთან სკოლებში დასაქმების ხელშეწყობისთვის: ადგილობრივ თვითმართვულობის ორგანოებში სტაჟირების პრაქტიკის გაგრძელება/გაფართოება, ბილინგვი მასწავლებლის პროფესიაში შესვლის ხელშეწყობა.

დანართი 1. ფოკუს ჯგუფის სასაუბრო

ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელო

სამიზნე ჯგუფი: ქართული ენის პროგრამის მოსარგებლეები, სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტები

ბლოკი - ინფორმირებულობა

1. საიდან გაიგეთ იმის შესახებ რომ შეგეძლოთ გესარგებლათ ქართული ენის გაძლიერებული სწავლის პროგრამის შესახებ (ქართული ენის მასწავლებლები, სკოლის დირექცია, უნივერსიტეტები, ადგილობრივი მედია, სხვა ორგანიზაციები....)
2. რამდენად სრული ინფორმაცია გქონდათ პროგრამაზე აბიტურიენტობის პერიოდში? მოგვიყვით რა იცოდით ამ პროგრამის შესახებ? რაზე გჭირდებოდათ მეტი ინფორმაცია?
3. ბლოკი - მოტივაცია
4. რა გახდა პროგრამაში ჩართვის მოტივაცია თქვენთვის, რატომ გადაწყვიტეთ გესარგებლათ ამ შესაძლებლობით?
5. რა ალტერნატივებს განიხილვადით გარდა ამ პროგრამაში ჩართვისა? რომ არა ეს პროგრამა სად შეიძლება გაგეგრძელებინათ სწავლა?
6. რატომ აირჩიეთ ეს უნივერსიტეტი?
7. გაქვთ თუ არა უკვე მოფიქრებული რომელ ფაკულტეტზე ან რომელ უნივერსიტეტში გააგრძელებთ სწავლას ბაკალავრიატზე?
8. რას ფიქრობენ რატომ არ აგრძელებს მოსწავლეთა ნაწილი სწავლას ამ პროგრამით?

ბლოკი- სწავლის დაწყება

1. როგორ დაახასიათებდით სასწავლო წლის დაწყებას? მოგაწოდეს თუ არა ინფორმაცია სწავლების ტიპის, დავალებების, საგნების, დატვირთულობის, შეფასებების შესახებ?
2. გაგინიათ თუ არა უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დახმარება ისეთ საკითხებში როგორცაა სატრანსპორტო სიტუმაში გარკვევა, მაღაზიები, ბანკები...
3. ამ ეტაპზე როგორ დაახასიათებდით სწავლების პროცესს?

4. გარდა ქართული ენის სწავლებისა რა საგნებს სწავლობთ? ისურვებდით თუ არა რაიმე დამატებითი საგნების სწავლას?

სამიზნე ჯგუფი: ქართული ენის პროგრამის ყოფილი მოსარგებლეები, სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ბაკალავრიატის სტუდენტები

ბლოკი - ინფორმირებულობა

1. საიდან გაიგეთ იმის შესახებ რომ შეგეძლოთ გესარგებლათ ქართული ენის გაძლიერებული სწავლის პროგრამის შესახებ (ქართული ენის მასწავლებლები, სკოლის დირექცია, უნივერსიტეტები, ადგილობრივი მედია, სხვა ორგანიზაციები....)
2. რამდენად სრული ინფორმაცია გქონდათ პროგრამაზე აბიტურიენტობის პერიოდში? მოგვიყვით რა იცოდით ამ პროგრამის შესახებ? რაზე გჭირდებოდათ მეტი ინფორმაცია?
3. ბლოკი - მოტივაცია
4. რა გახდა პროგრამაში ჩართვის მოტივაცია თქვენთვის, რატომ გადაწყვიტეთ გესარგებლათ ამ შესაძლებლობით?
5. რა ალტერნატივებს განიხილვადით გარდა ამ პროგრამაში ჩართვისა? რომ არა ეს პროგრამა სად შეიძლება გაგეგრძელებინათ სწავლა?
6. რატომ აირჩიეთ ეს უნივერსიტეტი? პროგრამით სარგებლობის წელს უკვე იცოდნენ რომელ უნივერსიტეტში გააგრძელებდნენ საბაკალავრო სწავლებას
7. პროგრამით სარგებლობის წელს იცოდნენ თუ არა რომელ ფაკულტეტს აირჩევდნენ?
8. გაქვთ თუ არა უკვე მოფიქრებული რომელ ფაკულტეტზე ან რომელ უნივერსიტეტში გააგრძელებთ სწავლას ბაკალავრიატზე?
9. რას ფიქრობენ რატომ არ აგრძელებს მოსწავლეთა ნაწილი სწავლას ამ პროგრამით?

ბლოკი- ქართული ენის სწავლის შეფასება

1. როგორი იყო მათი საწყისი ცოდნა ქართულში? (იცოდნენ თუ არა წერა კითხვა, საუბარი, აკადემიური წერა)
2. რამდენად კარგად აითვისეს ქართული ენა (წერა, კითხვა, საუბარი)

- როგორ შეაფასებდით ლექტორებს? (ცოდნა, გადმოცემის უნარი, ურთიერთობის სტილი სტუდენტებთან)
- რამდენად საკმარისი იყო საგანმანათლებლო რესურსები?
- რამდენად საკმარისი აღმოჩნდა ქართულ ენაში მიღებული ცოდნა ბაკალავრიატში სწავლის გაგრძელებისთვის?
- რამდენად გამართლდა თქვენი მოლოდინები ქართული ენის სწავლების კუთხით?
- ბაკალავრიატზე სწავლის დროს, თუ გექმნებათ პრობლემები მასალის ათვისებაში, რა გზას მიმართავენ მასალის დაძლევისთვის (რეპეტიტორი, მეგობარი, ლექტორი)?
- რამდენად საკმარისი იყო 1 წელი, იმისათვის რომ ბაკალავრიატში სწავლებისთვის საჭირო კომპეტენციისთვის მიეღწიათ?

ბლოკი- სოციალური ინტეგრაცია

- გარდა სალექციო კურსებისა, რა აქტივობებში იყავით ჩართული უნივერსიტეტის მიერ?
- საკმარისი იყო თუ არა ეს აქტივობები თქვენთვის ქართულენოვან სტუდენტებთან ინტეგრაციისთვის?
- რა სახის აქტივობებში ისურვებდით რომ ყოფილიყავით ჩართული სწავლების პროცესში?
- ბლოკი-დასაქმების შესაძლებლობების აღქმა
- რა სმენიათ პროგრამით მოსარგებლე კურსდამთავრებულების დასაქმებაზე, საქმდებიან თუ არა ბაკალავრიატის შემდეგ?
- როგორ აფასებთ თქვენი დასაქმების შანსებს მას შემდეგ რაც დაამთავრებთ ბაკალავრიატს? სად ფიქრობთ რომ დასაქმდებით?

ბლოკი- რეკომენდაციები

- მთლიანობაში როგორ შეაფასებდით პროგრამას (1+4)?
- თქვენი აზრით რა არის შესაცვლელი ქართული ენის სწავლების გაძლიერებული პროგრამაში?

დანართი 2. კითხვარი

უნივერსიტეტი	1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2. ილიაუნი
ფაკულტეტი/სპეციალობა	

ბლოკი I - ინფორმირებულობა

11.საიდან მიიღეთ ინფორმაცია განათლების საშეღავათო პოლიტიკით მიღების შესაძლებლობის შესახებ (შეგიძლიათ მონიშნოთ რამოდენიმე პასუხი)

- სკოლის დირექტორისგან
- ქართული ენის მასწავლებლისგან
- სხვა მასწავლებლისგან
- უნივერსიტეტისგან (უნივერსიტეტის წარმომადგენელმა გამართა შეხვედრა სკოლაში)
- ჩემი ოჯახისგან
- ინტერნეტით
- ტელევიზიით
- ადგილობრივ რესურსცენტრში გამართულ შეხვედრაზე
- გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ გამართულ შეხვედრაზე
- რეინტეგრაციის სამინისტროსგან
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით
- არასამთავრობო ორგანიზაციის მეშვეობით (მიუთითეთ ორგანიზაცია)

12.1 _____

13. მითხრა მეზობელმა/მეგობარმა/ახლობელმა
14. მითხრა იმ სტუდენტმა, რომელსაც უკვე იღებდა/მიიღო განათლება აღნიშნული ფორმატით
15. სხვა (ჩაწერეთ) _____

12. რამდენად სრულყოფილ ინფორმაციას ფლობდით განათლების საშეღავათო პოლიტიკით მიღების შესაძლებლობის შესახებ, როდესაც მიიღეთ გადაწყვეტილება გესარგებლათ ამ შესაძლებლობით?

1. სრულიად ვიყავი ინფორმირებული
2. მეტ-ნაკლებად კარგად ვიყავი ინფორმირებული
3. ვიყავი საშუალოდ ინფორმირებული
4. ვიყავი ცუდად ინფორმირებული
5. სრულიად არ ვიყავი ინფორმირებული

13. როგორ ფიქრობთ, რამდენად ინფორმირებულები არიან აბიტურიენტები განათლების საშეღავათო პოლიტიკით მიღების შესაძლებლობების შესახებ?

1. სრულიად ინფორმირებული
2. მეტ-ნაკლებად ინფორმირებული
3. საშუალოდ ინფორმირებული
4. ცუდად ინფორმირებული
5. სრულიად არაინფორმირებული

4. იმის გამო, რომ ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისთვის ადვილია დასაქმება
5. იმის გამო, რომ ჩემი ახლობელი/მეგობარი/ნათესავი სწავლობდა აქ
6. ადგილმდებარეობის გამო
7. სხვა _____

PO 2. რატომ აირჩიეთ თქვენი პროფესია?(შეგიძლიათ მონიშნოთ რამოდენიმე პასუხი)

1. ბავშობიდან ვოცნებობდი ამ პროფესიაზე
2. ამ პროფესიით ადვილია დასაქმება
3. ეს პროფესია პრესტიჟულია
4. ამ პროგრამაზე სწავლა ადვილია
5. ჩემი მეგობრები სწავლობენ ამ პროგრამაზე
6. ოჯახის წევრების რჩევით
7. მასწავლებლის/დირექტორის რჩევით
8. გავიარე პროფესიული ორიენტაციის პროგრამა
9. სხვა (ჩაწერეთ) _____

ბლოკი II P - პროგრამის ეფექტურობის შეფასება

(თითოეულ მწკრივში ერთი პასუხი - შეფასეთ ყველა მწკრივში მოცემული დეფინიცია)

P 1.1 გთხოვთ შეაფასოთ ქართული ენის პროგრამის სხვადასხვა კომპონენტები					
	არ არის ეფექტური	უფრო არაეფექტურია	მეტ-ნაკლებად ეფექტურია	უფრო ეფექტურია	სრულიად ეფექტურია
1. ჯგუფების დაკომპლექტების წესი	1	2	3	4	5
2. სწავლების ხანგრძლივობა	1	2	3	4	5
3. სასწავლო მასალა	1	2	3	4	5
4. ლექტორების კვალიფიკაცია	1	2	3	4	5
5. ლექტორების დამოკიდებულება სტუდენტების მიმართ	1	2	3	4	5
6. სასწავლო პროგრამა	1	2	3	4	5
P 1.2 გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის სხვა კომპონენტები					
1. დამატებითი, კლასგარეშე აქტივობები (ექსკურსია, პროექტები და ა.შ)	1	2	3	4	5
2. ურთიერთობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან	1	2	3	4	5
P 2. გთხოვთ შეაფასოთ ქართული ენის პროგრამის ეფექტურობა					
	სრულიად არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები	მეტ-ნაკლებად ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
ქართული ენის პროგრამა ეფექტურია მხოლოდ მათთვის, ვისაც ქართული ენის საბაზისო ცოდნა აქვს	1	2	3	4	5
ქართული ენის პროგრამა ეფექტურია ყველასთვის, მიუხედავად იმისა, თუ რა დონეზე ფლობს მას	1	2	3	4	5
ქართული ენის პროგრამის დასრულება სტუდენტს აძლევს საშუალებას სრულფასოვნად განაგრძოს სწავლა ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამაზე.	1	2	3	4	5
ქართული ენის პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტს შეუძლია სრულყოფილად ჩართოს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში	1	2	3	4	5

P 3. თვითშეფასება					
	სრულიად არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები	მეტ-ნაკლებად ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
ქართული ენის პროგრამის გავლის შემდეგ მე შემიძლია აკადემიური ლიტერატურის წაკითხვა და გაანალიზება	1	2	3	4	5
ქართული ენის პროგრამის გავლის შემდეგ მე შემიძლია თავისუფლად ჩავერთო დისკუსიაში/განხილვაში ლექციის პროცესში	1	2	3	4	5
ქართული ენის პროგრამის გავლის შემდეგ შემიძლია კარგად ვისაუბრო	1	2	3	4	5
ქართული ენის პროგრამის გავლის შემდეგ შემიძლია თავისუფლად ვწერო (აკადემიური ესსე, ნაშრომი, რეფერატი)	1	2	3	4	5
ქართული ენის პროგრამა დამეხმარა ინტერაქციის პროცესში	1	2	3	4	5

P4. გთხოვთ შეაფასოთ ქართული ენის ცოდნა 5 ბალიან სკალაზე (1- დაბალი, 5 მაღალი) პროგრამის გავლამდე (სვეტში ერთი პასუხი - შეაფასეთ უნარი ყოველ სვეტში)

	a) წერა	b) კითხვა	c) საუბარი	d) მოსმენა
არმქონდა უნარები	1	1	1	1
ელემენტარულიდონე	2	2	2	2
საშუალო	3	3	3	3
კარგი	4	4	4	4
პროფესიულიდონე	5	5	5	5

P5. გთხოვთ შეაფასოთ ქართული ენის ცოდნა ცოდნა 5 ბალიან სკალაზე (1- დაბალი, 5 მაღალი) პროგრამის გავლის შემდეგ (სვეტში ერთი პასუხი - შეაფასეთ უნარი ყოველ სვეტში)

	a) წერა	b) კითხვა	c) საუბარი	d) მოსმენა
არმაქვს უნარები	1	1	1	1
ელემენტარულიდონე	2	2	2	2
საშუალო	3	3	3	3
კარგი	4	4	4	4
პროფესიულიდონე	5	5	5	5

P6. მთლიანობაში, რადენად გამართლდა თქვენი მოლოდინები ქართული ენის პროგრამის მიმართ?

1. სრულიად გამართლდა
2. ნაწილობრივ გამართლდა
3. მეტ-ნაკლებად გამართლდა
4. უფრო არ გამართლდა
5. სრულიად არ გამართლდა

P7. რამდენად მარტივი იყო იმ 60 კრედიტის მიღება, რომელიც აუცილებელია ბაკალავრიატში სწავლის გასაგრძელებლად?

ძალიან მარტივი	უფრო მარტივი	არც მარტივი არც რთული	უფრო რთული	ძალიან რთული
1	2	3	4	5

P8. ჩართული იყავით თუ არა რაიმე სახის ინტერგრაციის პროგრამაში? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამოდენიმე პასუხი)

1. დიახ, ჩართული ვიყავი ახალგაზრდობის ცენტრის „PITA“-ს საქმიანობაში - განაგრძეთ
2. დიახ, ტურორების სკოლის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებში - განაგრძეთ
3. არა, არ მაქვს ინფორმაცია ასეთი პროგრამების შესახებ - გადადით ბლოკზე D
4. არა არ მექონია სურვილი ჩავრთულიყავი ამ პროგრამებში - გადადით ბლოკზე D

P9. თუ ჩართული იყავით ინტეგრაციის რომელიმე პროგრამაში, გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენად ეთანხმებით ქვემოთჩამოთვლილ ფრაზებს ამ პროგრამების შესახებ

	ვეთანხმები	არ ვეთანხმები
1. ინტეგრაციის პროგრამაში ჩართვამ გაზარდა ჩემი ცოდნა ქართულ ენაში	1	0
2. ინტეგრაციის პროგრამაში ჩართვამ გაზარდა ჩემი სწავლის მოტივაცია	1	0
3. ინტეგრაციის პროგრამაში ჩართვამ გამიუმჯობესა კომუნიკაციის უნარები	1	0
4. ინტეგრაციის პროგრამაში ჩართვის შემდეგ ვთვლი, რომ უფრო აქტიური მოქალაქე ვარ	1	0
5. ინტეგრაციის პროგრამაში ჩართვამ გამიმარტივა საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარება (ექიმთან ვიზიტი, საბანკო პროცედურების გავლა, მალაზია, სავაჭრო ცენტრში ორიენტაცია, ადმინისტრაციულ ორგანოებთან კომუნიკაცია და ა.შ.)	1	0
6. ინტეგრაციის პროგრამაში ჩართვის შედეგად მეტი მეგობარი მყავს სხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფებიდან	1	0
7. ინტეგრაციის პროგრამაში ჩართვამ გაზარდა ცოდნის დონე ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ	1	0

8. ინტეგრაციის პროგრამაში ჩართვამ გაზარდა ცოდნის დონე ქვეყნის ისტორიისა და კულტურის შესახებ	1	0
9. სხვა (ჩაწერეთ) _____		

ბლოკი D - დემოგრაფია

D1. რესპონდენტის სქესი:

1. მდედრობით
2. მამრობითი

D2. რესპონდენტის ასაკი

1. _____

D3. საცხოვრებელი რეგიონი (მუდმივი საცხოვრებელი)

შენიშვნა ინტერვიუერს: მუდმივ საცხოვრებელ ადგილში იგულისხმება მოქალაქის იურიდიული რეგისტრაციის რეგიონი

D3. გთხოვთ დაასახელოთ ენა, რომელზეც მიიღეთ საშუალო განათლება

1. სომხური
2. აზერბაიჯანული
3. ოსური
4. აფხაზური
5. რუსული
6. ქართული

დანართი 3. რესპონდენტები

ქეთი ჯაყელი	განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მინისტრის მრჩეველი ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის აფხაზური ენისა და კულტურის განვითარებაზე და დევნილებისა და ლტოლვილების საკითხებზე
თამარ ბრეგვაძე	ეროვნული გამოცდებისა და შეფასების ცენტრი
შალვა ტაბატაძე	სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ცენტრის (CCIIR) ხელმძღვანელი
კახა გაბუნია	თსუ-ს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
ივლიტა ლობჟანიძე	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
რუსუდან ჭანტურია	PITA-ს პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილე
ნათელა ბერიძე	სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
მანანა რატიანი	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე

ბიბლიოგრაფია

1. კვოტირების სისტემის კვლევა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, შ. ტაბატაძე, ნ. გორგაძე, 2013 წელი
2. ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ეფექტურობის კვლევა, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრი, 2016 წელი
3. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, 2009 წელი, 17 ნოემბერი

